ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

მარიამი-ბოჟენა ტყებუჩავა

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მართვის ასპექტები ტურიზმში (ქართული ხალხური ტრადიციების მაგალითზე)

საზოგადოებრივი გეოგრაფია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საზოგადოებრივი გეოგრაფიის

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნინო პავლიაშვილი

ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2019

ანოტაცია

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მართვის ასპექტები ტურიზმში (ქართული ხალხური ტრადიციების მაგალითზე)

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმში გამოყენების პრობლემა საქართველოში მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან რთულია ტურ ოპერატორების მიერ ამ კულტურის ელემენტების ტურის პროგრამაში ჩართვა და ტურისტების ამ კუთხით დაინტერესება. მატერიალური კულტურული მემკვიდეობის ძეგლები არის ხელშესახები ფორმით, შესაბამისად მათით დაინტერესება ტურისტების შედარებით მარტივია. აღსანიშნავია, რომ პრობლემა როგორც მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ვერც ტურ მენეჯერები და ვერც ტურიზმის სფეროს სხვა წარმომადგენლები ვერ ახერხებენ ტურიზმში არამატერიალური მემკვიდრეობის ჩართვას, რადგან ამ მემკვიდეობის პოპულარიზაციას სჭირდება პროფესიონალ გიდთა გუნდი, რომელნიც სწორად აუხსნიან დაინტერესებულ ადამიანებს ამა თუ იმ ტრადიციული ნიმუშების თუ თამაშობების არსს და წარმომავლობას. საქართველოში კი ამ მიმართულებით გადამზადებული გიდები არ გვყავს, შესაბამისად არ შეიძლება ქვეყანამ არაპროფესიონალურ დონეზე მიაწოდოს ინფორმაცია არამატერიალური ძეგლის გარშემო.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა საქართველოში გულისხმობს მის დაცვას და პოპულარიზაციას და მეორეს მხრივ მისი ნიმუშების ტურიზმში ჩართვას და მათ აქტიურ გამოყენებას ამ სფეროში. ამ მემკვიდრეობის ძეგლების ჩართლობა გმოიწვევს ტურისტების მეტ ინტერესს და ჩართულობას, რაც აუცილებლად განავითარებს კულტურულ ტურიზმს ჩვენს ქვეყანაში.

სამაგისტრო თემასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლისას ნაშრომში სრულად წარმოვაჩინე საქართველოში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშები, თუ როდის არის შეტანილი ის, როგორც არამატერიალური ძეგლი, კულტურული მემკვიდრეობის ახლანდელი მდგომარეობა და ტურისტულ პროდუქტში ჩართვის პროცესის პრობლემები, ასევე ნაშრომში მოყვანილია სხვადასხვა ქვეყნის მაგალითები, თუ როგორ მოახერხეს მათ განევითარებინათ ეს მხარე, თუ როგორ ჩართეს ტურიზმში ეს მიმართულება და დაეხმარნენ ქვეყანას ეკონომიკური მდგომარეობის ზრდაში.

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას და კვლევის ჩატარებისას გამოიკვეთა ის, რომ საქართველოს დიდი პოტენციალი აქვს კულტურულ ტურიზმში გამოიყენოს და გამოკვეთოს არამატერიალური კულტურული ძეგლების როლი, მაგრამ ჩვენი ქვეყანა სამწუხაროდ სრულფასოვნად არ იყენებს ამ შანსს, რაც ცუდად მოქმედებს ჩვენი ქვეყნის სახელზე.

თუ დავაკვირდებით მსოფლიოს ქვეყნების საერთაშორისო გამოცდილებას, საქართველოში აუცილებელია არამატერიალური კულტურული ძეგლების მართვისთვის როგორც

ცენტრალური ხელისუფლების ჩართულობა, ისე რეგიონალური და მუნიციპალური სააგენტობის სრული კოორდინაცია და შეთანხმებული მოქმედება.

არამატერიალური კულტურული მემკვიდეობის როლის გაზრდისთვის აუცილებელია შეთანაწყობილი ურთიერთობა და თანამშრომლობა როგორც სახელმწიფო დონეზე, ისე კერძო სექტორის დონეზე. მნიშვნელოვანია პრობლემის გააზრება, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმის სფეროში ჩართვის გეგმის შემუშავება, კადრების გადამზადება და ა.შ.

სამაგისტრო ნაშრომის დასკვნა მოიცავს არამატერიალური კულტურული მემკვიდეობის ძეგლების და მათი ტურიზმის სფეროში მეტად გამოყენების და ჩართვის წინადადებებს.

Annotation

The problem of using intangible cultural heritage tourism is important in Georgia, as it is difficult for tour operators to incorporate these cultural elements into the tour program and to attract tourists in this regard.

After the studies issues during the prepare master I tried fully show samples of intangible cultural heritage in Georgia, when it is filed as an intangible monument, the current situation of cultural heritage and the problems of engaging in the tourist product. There are also recommendations, various examples of how to develop this part in tourism field and how other countries increased the economy of the country by popularization of intangible cultural monuments.

While working on a master's thesis and research, it has been revealed that Georgia has a great potential, that in cultural tourism, use the role of intangible cultural monuments, but our country is unfortunately not using this chance, which is a disadvantage of Georgia as a tourist country.

If we look at the international experience of world countries, in Georgia it is necessary to manage intangible cultural monuments, involvement of central government as well as full coordination of regional and municipal agencies in management of intangible cultural monuments and coordinate together.

The Master's thesis there are recommendations, that it's important to have a relationship between the state and private sectors. It's very important to understand the problem, develop a plan to transform the intangible cultural heritage into a sphere of tourism, retraining staff and etc.

The conclusion of the Master's Thesis includes proposals for the use and inclusion of intangible cultural heritage monuments in the tourism sphere.

MA thesis. Tkebuchava Mariami – Bojena – Intangible Cultural Heritage Management Aspects in Tourism (Case of Georgian Folk Traditions)

სარჩევი

შესავალი----------5

თავი 1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები

1.1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის არსი და სტრუქტურა-9

1.2. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ტურიზმში გამოყენების გამოცდილება მსოფლიოს ქვეყნების მაგალითზე----------15

1.3. არამატერიალური კულტურული რესურსების მართვა და გამოყენება ტურიზმის სექტორში ----------25

თავი 2. საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გამოყენების ანალიზი ტურიზმში

2.1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სფეროები საქართველოში---28

2.2. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გამოყენება ტურისტული კომპანიების და ტუროპერატორების მიერ ----------37

2.3. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მდგომარეობა და მის მიმართ არსებული საფრთხეები ----------40

თავი 3. საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მართვის სრულყოფის მიმართულებები ტურიზმში

3.1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მართვა, როგორც ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი რესურსი----------45

3.2. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმში ჩართვის და მისი განვითარების გზები----------48

3.3. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გამოყენების და მისი სრულყოფის გზები ტურიზმში ---------- ----------50

დასკვნა ----------54

გამოყენებული ლიტერატურა----------58

დანართი----------59

შესავალი

კულტურული მემკვიდრეობა - ეს არის ზეპირსიტყვიერების ტრადიციები და მისი გამოხატვის ფორმები, თამაშობანი, ადათ-წესები, ჩვეულებები და სხვა, რომელიც წრსულიდან მოდის და თაობიდან თაობას გადაეცემა. ამ მემეკვიდრეობის არსი გვამცნობს ქვეყნის, ხალხის და მათი ტრადიციების, რწმენა-წარმოდგენების შესახებ.

კულტურული მეკვიდრეობა შედგება სხვადასხვა ობიექტებისგან. ის მოიცავს არამარტო ძეგლბს, ტყე-პარკებს და ისტორიულ არეალებს, არამედ ადამიანის მიერ საკუთარი ხელით შექნილ გარემოს, როგორც ერთ მთლიანს.

მემკვიდრეობა ეს არის კულტურული მრავალფეროვნება რომელიც ყველა ქვეყანას წარსულიდან გადმოეცემა და ის თაობიდან თაობას გადაეცემა.

მსოფლიოში არის მემკვიდრეობის ორი სახეობა: **მატერიალური და არამატერიალური მემკვიდრეობა.** მატერიალური გულისხმობს ადამიანის მიერ ან ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედების შედეგად შექმნილი ნებისმიერი სახის მხატვრული, ესთეტიკური, ისტორიული, მემორიალური ღირებულების მქონე არქიტექტურული, ხელოვნების, ქალაქთმშენებლობითი, სასოფლო, არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ეთნოგრაფიული, მონუმენტური, ტექნიკის განვითარებასთან დაკავშირებული უძრავი ან მოძრავი ობიექტები, დოკუმენტური მასალები, ასევე ბაღები, პარკები, ლანდშაფტური არქიტექტურის ობიექტები, ისტორიული დასახლებები, ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემო, დაკავშირებული ქვეყნის ისტორიასთან, განვითარებასთან, ფოლკლორთან, რწმენასა და ტრადიციებთან, ადრე ან ამჟამად არსებულ ცივილიზაციასთან. (შესახებ“, 2007)

ხოლო არამატერიალურ მემკვიდრეობა - ეს არის თაობიდან თაობას გადაცემული ადათ-წესები, თამაშობები, ცოდნა, მუსიკა, ცეკვები, ლიტერატურა, სხვადასხვა რელიგიური ცერემონიები და სხვა.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის განხილვა მატერიალურის გარეშე შეუძლებელია, რადგან ისინი მჭიდროდ არიან ერთმანეთზე გადაჯაჭვულნი და უნდა წარმოვიდგინოთ ერთიან მოვლენად.

ისევე, როგორც მსოფლიოს ქვეყნებში, ასევე საქართველოშიც დიდი პრობლემაა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის კუთხით. მისი შენარჩუნების საკითხიც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რადგან გლობალიზაციის პირობებში ახალგაზრდები სამწუხაროდ აღარ ინტერესდებიან მათი მშობლების მიერ გადმოცემულ თქმულებებში ან აღართ სურთ ისწავლონ ის, რაც მათ წარსულმა შემოუნახა.

მსოფლიო მემკვიდრეობის საერთაშორისო კონვენცია აცხადებს, რომ "გლობალიზაციის და სოციალური ტრანსფორმაციის პროცესები, ქმნიან რა საზოგადოებებს შორის დიალოგის განახლების პირობებს, ამავდროულად წარმოადგენენ, შეუწყნარებლობის ფენომენებს, დეგრადაციის, გაუჩინარების და განადგურების საშიშროებას, რომელიც შეეხო არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას, ნაწილობრივ ასეთი მემკვიდრეობის დაცვის რესურსების ნაკლებობის შედეგად".[1] (საერთაშორისო კონვენცია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ, 2003)

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს უდიდესი პოტენციალი აქვს არამატერიალური კულტურული ძეგლების ტურიზმში ჩართვისთვის, კვლევის პროცესში გამოიკვეთა მნიშვნელოვანი პრობლემები. კერძოდ, საქართველოში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა სისტემურად არ არის შესწავლილი, როცა მას შეუძლია გახდეს ინოვაცია და მოიზიდოს უფრო და უფრო ბევრი ტურისტი ჩვენს ქვეყანაში.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმში გამოყენების საკითხს მართავს ერთი სამინისტრო, თუმცა აღსანიშნავია, რომ აუცილებელია ერთიანი მუშაობა და პრობლემების გადაწყვეტის გრძელვადიანი გეგმის მოძებნა ქვეყანაში არსებულ ყველა სექტორს შორის. როგორც სახელმწიფო მთავრობაში, ასევე რეგიონებში და ცენტრალურ მთავრობებში ჩართულნი უნდა იყვნენ არამატერიალური კულტურული მემკვიდეობის საკითხებში და ერთიანად უნდა მოხდეს კონკრეტული პრობლემების და სამომავლო მიზნების დასახვა.

ნაშრომის მიზანია გამოავლინოს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული არამატერიალური კულტურული მემკვიდეობის ძეგლები, თუ რა შესაძლებლობა და პოტენციალი გააჩნიათ მათ ქვეყნისთვის სამომავლოდ და რა დადებითის მოტანა შეუძლია მას ჩვენი ქვეყნისთვის.

კვლევის ამოცანები შემდეგია:

- ნაშრომმა გამოავლინოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის არსი და მნიშვნელობა;
- როგორ უნდა მოახდინოს არამატერიალურმა კულტურულმა მემკვიდრეობამ ტურიზმის სფეროში წამყვანი როლის დაკავება დ მისი შესაძლებლობების გამოვლენა;
- როგორ უნდა შევქმნათ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობით

ინოვაციური პროდუქტი;

- როგორ უნდა ჩავრთოთ საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა ტურიზმში, რათა მივიღოთ მეტი შემოსავალი;

კვლევის ობიექტს წარმოადგენს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმში გამოყენება.

კვლევის საგანი არის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გამოყენება და მისი მართვა ტურიზმის სფეროში.

კვლევის მნიშვნელობა მკითხველისთვის, მდგომარეობს იმაში, რომ შესწავლილ იქნას მოცემული რჩევები და დასკვნები და გამოყენებულ იქნას სამომავლოდ ამ მემკვიდრეობის გამოყენებასა და ტურიზმის სფეროში ჩართვაში. მიზნად ისახავს ინოვაციური ტურისტული პროდუქტის შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას. ამ პროცესისთვის კი აუცილებელია როგორც ცენტრალურ, ისე რეგიონალურ დონეზე ურთიერთობების გაღრმავება.

ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია სხვადასხვა წიგნები, გამოცემები თუ სტატიები, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ (მაგ. UNESCO, UNWTO და სხვა) საერთაშორისო გამოცდილება და ქართველ მკვლევართა ნაშრომები.

ნაშრომზე მუშაობისას ასევე ჩატარდა კვლევა არამატერიალური კულტურული ძეგლების შესახებ, თუ რამდენად იცნობდნენ საქართველოს მოქალაქეები ტერმინის არსს და კონკრეტულად მის ძეგლებს. სოციოლოგიური კვლევის საფუძველზე გამოიკითხა 200-ზე მეტი რესპოდენტი.

ნაშრომის **პირველ თავში** მოცემულია "არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის" არსის და მისი სტრუქტურის გამოვლენა. ეს თავი მოიცავს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის რესურსების საერთაშორისო გამოცდილებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, მისი გამოყენების კონკრეტულ მაგალითებს ტურიზმში, ასევე საუბარია იუნესკოს მიერ 2003 წელს ჩატარებულ 32-ე კონფერენციაზე მიღებულ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მართვის მიზნებზე და ამავე კონფერენციაზე მიღებულ კონვენციაზე.

მეორე თავში ჩამოთვლილი საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტები, რომელაც უკვე აქვთ მინიჭებული ძეგლის სტატუსი. სევე საუბარია ტურიზმში ტუროპერატორების მიერ არამატერიალური კულტურული ძეგლების გამოყენების აუცილებლობაზე, შეფასებულია

საქართველოს მდგომარეობა ამ კუთხით და გამოკვეთილია ამ სფეროში არსებული პრობლემები.

მესამე თავში წარმოდგენილია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მართვის მართვის სრულყოფის მიმართულებები და ღონისძიებები ტურიზმში.

სამაგისტრო ნაშრომის დასკვნაში მოცემულია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობისა და კულტურულ ტურიზმში ჩართვის ეფექტიანობა საქართველოში, თუ რა სარგებელს მოუტანს ის ჩვენს ქვეყანას და მის განსავითარებლად ჩამოთვლილია გასატარებული ღონისძიებები.

თავი 1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის თეორიულ- მეთოდოლოგიური საფუძვლები

1.1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის არსი და სტრუქტურა

კულტურული მემკვიდრეობა გადმოგვეცემა ჩვენი წინაპრებისგან. სწორედ ეს მემკვიდრეობა გვაკავშირებს ჩვენი ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულთან. ასეთი სახის მმეკვიდრეობა არ არსებობს საზოგადოების, ერის და კულტურის გარეშე. კულტურული მემკვიდრეობა გადმოსცემს კონკრეტული ქვეყნის ხალხის კულტურას, ამ წარსულს, ადათ-წესებს, ჩვეულებებს და სხვა.

ევროპის საბჭოს კონვენციაში, ეგრეთ წოდებულ ,,ფაროს კონვენციაში'' ახსნილია კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობა. განმარტება შემდეგია: „**კულტურული მემკვიდრეობა** არის წარსულის დანატოვარი რესურსების ერთობლიობა, რომლებიც ადამიანებს, მათი კუთვნილების მიუხედავად, მიაჩნიათ თავიანთი მუდმივად ცვალებადი ფასეულობების, რწმენის, ცოდნისა და ტრადიციების ასახვად და გამოხატულებად. იგი მოიცავს გარემოს ყველა ასპექტს, რომელიც ადამიანებსა და სივრცეს შორის ურთიერთქმედების შედეგად წარმოიშვა ისტორიული განვითარების პროცესში;“ (http://mcs.gov.ge/News/faros-konvencia.aspx, თ. გ.)

1972 წელს იუნესკომ მიიღო კონვენცია, რომლის მიხედვითაც კულტურულ მემკვიდრეობაში იგულისხმება: (1 ფილდენი ბერნარ მ., თ. გ.)

- **ძეგლები:** არქიტექტურის ნიმუშები, ეკლესიები, მონასტრები, ქანდაკებების ნიმუშები, მღვიმეები და დამატებით ის ელემენტები, რომელსაც დიდი ღირებულება გააჩნიათ.
- **ანსამბლები:** არქიტექტურული ღირსშესანიშნაობები, რასაც განსაკუთრებული ღირებულება გააჩნია ქვეყნისთვის.

· **ღირსშესანიშნავი ადგილები:** ადამიანის მიერ ან ბუნების მიერ შექმნილი ისეთი ადგილები, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა და ღირებულება აქვს.

ღირებულება ეს არის საზოგადოების მიერ საგნისთვის გარკვეული როლის ან ხარისხის მინიჭება. კულტურულ მემკვიდრეობაში განსაკუთრებული როლი ეკისრება, მაგალითად, ძეგლის მახასიათებლებს, მასალას, ხელობას და ა.შ

ღირებულებები სხვადასხვა მიმართებით შეგვიძლია განვიხილოთ: მაგალითად:

- **თვითმყოფადობა (identity)** - ღირებულებათა ეს ჯგუფი წარმოგვიჩენს საზოგადოების იდენტურობას კონკრეტულ ადგილთან ან ობიექტთან.
- **იშვიათობა** - რომელიც ასახავს კონკრეტული ობიექტის იგივე წლის, საუკუნის, სტილის ან მშენებლობის ნაგებობებთან შედარებას, რაც მის უნიკალურობას უსვამს ხაზს. ეს მნიშვნელოვანი მახასიათებელია, რადგან სწორედ იშვიათობამ შეიძლება მოუტანს კონკრეტულ ძეგლს სახელი და გახდეს მსოფლიოში ცნობილი.
- **ეკონომიკური ღირებულება** - ამ ღირებულებაში მოიაზრება მემკვიდრეობის ობიექტის ცნობადობის ამაღლების შემდეგ მისი წარმოქმნილი ღირებულება.

ჩვენი, ადამიანების მოვალეობაა, გავუფრთხილდეთ ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობას, რადგან:

- ✓ **ის ადამიანების ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი ღირებულებების მატარებელია.**

კონკრეტული ძეგლები მოგვითხრობს წარსულის შესახებ, თუ როგორ ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები წარსულში. მაგალითად: ჰიროსიმის გენბაკუს გუმბათი (იაპონია) წარმოადგენს ატომური აფეთქების ტრაგიკული შედეგების თვალსაჩინო მაგალითს და, ამავე დროს, იგი ომის საწინააღმდეგო გაფრთხილებაა

მომავალი თაობებისათვის. (https://www.jw.org/ka/%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%9F%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/g201411/%E1%83%B0%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%, თ. გ.) (shorturl.at/bEFSX, n.d.) ყოველი მემკვიდრეობის ნიმუში შეიძლება იყოს ერთზე მეტი გზავნილის მატარებელი. მაგალითად, მცხეთისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ეკლესიები, რომელიც იუნესოს სიაშია შეყვანილი, არამედ მისი მდებარეობა და ის ლანდშაფტი, სადაც ეს კულტურული მემკვიდრეობა დგას.

- ✓ **ის წარმოადგენს მრავალფეროვანი სამყაროს და ხალხთა მრავალფეროვნების შეცნობის, ასევე ურთიერთგაგების განვითარების საშუალებას.**
- ✓ **მას შეუძლია ქვეყანას მოუტანოს ეკონომიკური განვითარება** - მოგზაურებს ყოველთვის აინტერესებდათ კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც თანამედროვე დროში მსოფლიოს ბევრი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ეკონომიკურ რესურსად იქცა.
- ✓ **ის არის უნიკალური და შეუცვლელი** - კულტურული ფასეულობა მსოფლიოსთვის და კაცობრიობისთვის უმნიშვნელოვანესი, რომლის განადგურების შემთხვევაში, მისი თავიდან გაკეთება ან აღდგენა შეუძლებელია.

არსებობს **მატერიალური კულტურული მემკვიდრეობა და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა.**

მატერიალური კულტურული მემკვიდრეობა გულისხმობს შენობა-ნაგებობებს, ეკლესიებს, ხელნაწერ წიგნებს, ქანდაკებებს, ნაგებობას და ა.შ რაზე

შეხებაც შეგვიძლია, ხოლო არამატერიალური კი მოიცავს საზოგადოების, ცალკეული ან კერძო ჯგუფების მიერ აღიარებულ ადათ-წესებს, წარმოდგენებს, ცოდნას და ჩვევებს. მაგალითად: თეატრი, ენები, დამწერლობა, ლიტერატურა, ცეკვა და სხვა.

ორივე სახის მემკვიდრეობა, მატერიალურიც და არამატერიალურიც ერთი მთლიანი კულტურული ფენომენია.

საქართველოს კანონში „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ[2]" კულტურული მემკვიდრეობა განმარტებულია (https://matsne.gov.ge/ka/document/view/21076?publication=13, თ. გ.), როგორც:

„ა) მატერიალური – ადამიანის მიერ ან ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედების შედეგად შექმნილი ნებისმიერი სახის მხატვრული, ესთეტიკური, ისტორიული, მემორიალური ღირებულების მქონე არქიტექტურული, ხელოვნების, ქალაქთმშენებლობითი, სასოფლო, არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ეთნოგრაფიული, მონუმენტური, ტექნიკის განვითარებასთან დაკავშირებული უძრავი ან მოძრავი ობიექტები, დოკუმენტური მასალები, ასევე ბაღები, პარკები, ლანდშაფტური არქიტექტურის ობიექტები, ისტორიული დასახლებები, ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემო, დაკავშირებული ქვეყნის ისტორიასთან, განვითარებასთან, ფოლკლორთან, რწმენასა და ტრადიციებთან, ადრე ან ამჟამად არსებულ ცივილიზაციასთან; (https://matsne.gov.ge/ka/document/view/21076?publication=13, https://matsne.gov.ge/ka/document/view/21076?publication=13, თ. გ.)

ბ) არამატერიალური – ზეპირსიტყვიერების ტრადიციები და გამოხატვის ფორმები, ენის, როგორც მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მატარებლის, ჩათვლით, საშემსრულებლო ხელოვნება, ადათ-წესები, ჩვეულებები, ტრადიციულ ხელოვნებასთან დაკავშირებული ცოდნა და უნარ-ჩვევები, ასევე მათთან დაკავშირებული ინსტრუმენტები, საგნები, არტეფაქტები და

კულტურული სივრცეები, რომლებიც საზოგადოების, ჯგუფებისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, ცალკეული პირების მიერ აღიარებულია მათი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად“. (https://matsne.gov.ge/ka/document/view/21076?publication=13, თ. გ.)

მზარდი გლობალიზაციის პირობებში მსოფლიოში ძნელია არამატერიალური კულტურული მემკვირეობის შენარჩუნება.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და დაცვის შესახებ საერთაშორისო კონვენცია აცხადებს, რომ "გლობალიზაციისა და სოციალური ტრანსფორმაციის პროცესები, დეგრადაციის, გაქრობისა და რღვევის სერიოზულ საფრთხეს უქმნის არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას, განსაკუთრებით ამგვარი მემკვიდრეობის დაცვის საშუალებათა ნაკლებობის გამო". (საერთაშორისო კონვენცია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ, 2003)

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა უზადო ფენომენია, რადგან ის არა მარტო გადაიტანება დროსა და სივრცეში და გადაეცემა თაობიდან თაობას, არამედ განიცდის თავიდან გააზრებას, დაფიქრებას და გარდაქმნას.

არამატერიალური კულტურის შემქმნელად მოიაზრება ერი, ქვეყნის მოსახლეობა, ერთი ადამიანი ან ჯგუფი. არამატერიალური კულტურა საზოგადოებისთვის საკუთარი იდენტობის წარმომჩენია.

თუ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა თაობიდან თაობას ორგანიზებულად გადაეცემა, მაშინ ის მუდმივად ვითარდება.

ორმაგი მემკვიდრეობის თეორია – ეს არის XX საუკუნეში განვითარებული თეორია, რომელიც ადამიანის ქცევას ხსნის, როგორც შედეგს მისი გენეტიკური და კულტურული მემკვიდრეობის ფაქტორების ურთიერთქმედებისა. თეორია ადამიანის გენეტიკას უკავშირებს როგორც მის კულტურულ მემკვიდრეობას, რომელსაც ადამიანი პირდაპირ ან არაპირდაპირ იღებს საზოგადოებისგან. ამ თეორისს მიხედვით კულტურა და მემკვიდრეობა დროთა განმავლობასი

ყალიბდება და გარმოსადმი ადაპტაციის უნარით გამოირჩევა.

ეს თეორია კულტურას არ მიიჩნევს ზებუნებრივ კატეგორიად და მას განიხილავს, როგორც ადამიანური გონების მონაპოვრად. სოციალიზაციის და მისი განვითარების პროცესში იგულისხმება ინდივიდის მიერ დაბადების შემდგომ შეძენილი ქცევები სხვა ინდივიდებისგან. შეგვიძლია შევადაროთ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის თაობიდან თაობას გადაცემული წეს-ჩვეულებები და სხვა. მაგალითად მშობელი საკუთარ შვილს უმეტეს შემთხვევაში აუცილებლად ატარებს ქართულ ცეკვაზე, სადაც სხვ ინდივიდისგან პატარა სწავლობს კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთ სახეს.

ორმაგი მემკვიდრეობის თეორია გულისხმობს ადამიანის ქცევების ახსნას ორი ფაქტორის მიხედვით: სოციალური და გენეტიკური კატეგორიების გაანალიზებით. გენებიც და კულტურაც მემკვიდრული ფენომენია. კულტურული მახასიათებლები თაობიდან თაობას და ადამიანიდან ადამიანს გადაეცემა,შესაბამისად ის განსხვავდებ ადამიანებს შორის. კულტურული მახასიათებლები კი შესაბამისი გარემოს საპასუხოდ ყალიბდება და იგი იცვლება გარემოს ცვლილებების შესაბამისად, მსგავსად გენეტიკური მახასიათებლებისა.

კულტურული მემკვიდრობის ფენომენებს შორის, გამოვარჩევდი დამოკიდებულ გადახრას - ანუ როცა ინდივიდი ითვისებს იმ კულტურულ მახასიათებლებს, რომლებიც არსებულ სოციუმშია გავრცელებული. შეგვიძლია შევადაროთ დამოკიდებული გადახრა იმ რეგიონის სოციუმს, რომელსაც ბევრი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი აქვთ, თუნდაც კახეთი, სადაც ყველა ახალგაზრდამ იცის ჩურჩხელის ამოვლება და მათი ოჯახის წევრები ამ ყველაფერს ასწავლიან იმიტომ რომ ის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიაშია. კახური ჩურჩხელის დამზადების ტექნოლგია ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და გამორჩეულია ამ რეგიონში, შესაბამისად იქ მცხოვრები პატარები არ აკეთებენ არჩევანს, არამედ ითვისებენ იმ მახასიათებელს, რომელიც ამ საზოგადოებაშია განვითარებული.

1.2. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ტურიზმში გამოყენების გამოცდილება მსოფლიოს ქვეყნების მაგალითზე

ყველა ტურისტული ადგილისა და რეგიონისთვის მნიშვნელოვანია სწორად აღიქვან ეროვნული ხასიათის თავისებურებები, რათა მოიზიდონ ტურისტთა მზარდი ნაკადი. მნიშვნელოვანია, რომ მათ რაციონალურად გამოიყენონ ის ტურისტულ-რეკრაციული რესურსები, რაც გააჩნიათ, რომ გაზარდონ შემოსავლები.

ამის შესაბამისად მნიშვნელოვანი როლი აქვს ტურიზმის სფეროს. კულტურულ ტურიზმს კი ერთი მიზანი აქვს: ,,გააცნოს ტურისტს იმ ქვეყნის ეროვნული კულტურა და მისი მახასიათებლები, რომელშიც იგი იმყოფება”— კოიშირა მაცურა—იუნესკოს გენერალური მდივანი. (ნ.კვარაცხელია, 2004)

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია კულტურულ ტურიზმს განმარტავს, როგორც მოგზაურობას, რომლის დროსაც მოგზაურს აქვს მოტივაცია დაისვენოს და ამავე დროს შეიგრძნოს ქვეყნის კულტურა, დაესწროს იმ ქვეყნის ღონისძიებებს, მოინახულოს სხვადასხვა კულტურული ძეგლები, მოილოცოს ეკლესია-ტაძრები და ა.შ.

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 7 თებერვლის #49 დადგენილებაში, ,,საქართველოს ტურიზმისა და კურორტების განვითარების ღონისძიებათა შესახებ” პირველად იქნა საქართველოში ოფიციალურ დონეზე გამოყენებული ტერმინი ,,კულტურული ტურიზმი”. (https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1292547?publication=0, თ. გ.)

ტურიზმის სახეობებზე გლობალიზაციის პერიოდში იზრდება მოთხოვნა, მათ შორის კულტურულ ტურიზმზეც, ამიტომ აუცილებელია, რომ ეს სფერო

განვითარდეს. ხშირად ტურისტს არა მარტო კონკრეტული ძეგლი ან ღირსშესანიშნაობა აინტერესებს, არამედ კონკრეტულ ადგილზე მაცხოვრებელი ერის ყოველდღიური ყოფა, ის გაიცნობს ხოლმე ადგილობრივ მოსახლეობას, ხშირად რჩება მათთან, ეხმარება ყოველდღიურ საქმიანობაში და ა.შ.

კულტურული ტურიზმი არ უნდა იყოს მოსაწყენი, პირიქით ტურისტები ამ დროში ინტერნეტ საშუალებების წყალობით კარგად ინფორმირებულნი არიან ყველა საკითხზე და თემაზე, შესაბამისად მათ დამატებითი ცოდნის შეძენა სურთ.

ზოგ ქვეყანაში ტურიზმის სხვადასხვა სახეობები სეზონურია, თუმცა კულტურულ ტურიზმს სეზონურობა არ ახასიათებს, ის აქტუალურია წელიწადის ნებისმიერ დროს. კულტურულ ტურიზმს წვლილი შეაქვს როგორც სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებაში, ასევე მთლიანი შიდა პროდუქტი გარკვეულწილად მასზეც არის დამოკიდებული, ამასთანავე ის ხელს უწყობს მეტ ურთიერთობას და საქმიან კონტაქტებს.

მნიშვნელოვანია დაინტერესებულ მხარეებს, საჯარო სექტორს და კერძო შორის მოხდეს ღია საუბრები, სადაც აუცილებლად ჩაერთვება მოსახლეობაც, გაკეთდება დასკვნები და ეს სამსახურები ხელს შეუწყობს ამ სფეროს მეტად განვითარებას.

როდესაც ვეხებით საკითხს ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით, აუცილებელია მოვისმინოთ საზოგადოების აზრი, რადგან კონკრეტულ რეგიონში ადგილობრივებმა მეტად იციან საკუთარი გარემოს შესახებ, თანაც ისინი უნდა იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც დასაქმებულნი იქნებიან მათსავე რეგიონში და ჩართულნი იქნებიან თუნდაც გადამზდების პროგრამებში და ა.შ.

საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობის კარგი მაგალითია ხორვატიის შემთხვევა. ამ ქვეყანაში 2004 წელს სახელმწიფოს მიერ დაარსდა ხორვატიის კულტრული ტურიზმის გაერთიანება, რომელიც კერძო სექტორად დასახელდა და სადაც მემკვიდრეობის ინსტიტუტები და ასოციაციები

გამოთქვამენ სურვილს ამ ორგანიზაციაში გაერთიანებისა.

აღნიშნული გაერთიანება ხშირად უწევდა ორგანიზებას რიგ პროექტებს, რომლებიც ტურისტების მოსაზიდად მრავალფეროვან გამოცდილებას გვთავაზობდნენ, ძირითადი აქცენტი კეთდებოდა ფესტივალებსა და ღონისძიებებზე, რომელიც პოპულარული იყო ტურისტებში.

ამავე ქვეყნის ტურისტულად ნაკლებ განვითარებულ რეგიონებში მისი განვითარება განხილული იქნა, როგორც მომავალში იმის შესაძლებლობა, რომ გაეცოცხლებინათ ტრადიციული ღირებულებები. ამ კუთხით მოსახლეობისთვის პირველი ნაბიჯი იყო ტურიზმის ინდუსტრიაში ცნობიერების ამაღლება.

მიგრანტი საზოგადოების არამატერიალური კუტურული მემკვიდრეობა, როგორც ტურისტული ღირსშესანიშნაობა

ტურისტები და მიგრანტებ შეგვიძლია ერთმანეთთან დავაკავშიროთ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კუთხით. ამის მაგალითები გვხვდება: ნიუ-იორკში ე.წ Chinatown (ჩინური ქალაქი). (https://www.nycgo.com/boroughs-neighborhoods/manhattan/chinatown, n.d.) ამ დასახლებაში შუა ნიუ-იორკში ცხოვრობენ ჩინელები, რომლებიც დიდ ინტერესს იწვევენ ტურისტებისათვის. მოგზაურმა შეიძლება იმოგზაუროს ამერიკაში, მაგრამ ამავე დროს მიიღოს ცოდნა ჩინური ტრადიციების და მათი კულტურის შესახებ, რაც ორმაგად საინტერესოს ხდის ტურისტის მოგზაურობას სხვა ქვეყანაში.

ასევე შეგვიძლია მაგალითად მოვიყვანოთ ჩინური მემკვიდრეობის უბანი „ოქროს დრაკონი“, რომელიც ავსტრალიაში მდებარეობს.

ამ უბანში ადრე უმეტესად მეშახტეები იყვნენ დასაქმებულნი. ახლა ძირითადი აქცენტი პროექტის მართვაზე ხორციელდება, რომელიც ისეთი ადგილების შექმნას შეუწყობს ხელს, როგორიც არის: ოქროს დრაკონის მუზეუმი, თეთრი ჰილზის სასაფლაო და სხვა.

არამატერიალური კულტურული ძეგლი ასევე მოიცავს ქმედებებს არამატერიალური კულტურული მეკვიდრეობის კატეგორიის წარმოსაჩენად. მაგალითად: საუდის არაბეთის „Souk Okaz„-ის ფესტივალი (http://www.arabnews.com/node/1329906/souk-okaz-festival, n.d.), რომელიც ორიენტირებულია ტრადიციების წარმოჩენაზე და გამორჩეულია პოეზიის საღამოებით, რათა მსურველებს საკუთარი ქვეყნის კულტურა გააცნონ.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ გამოიყო არამატერიალური კულტურული მმეკვიდრეობის სფეროები:

1) რეწვა და სანახაობითი ხელოვნება
2) კულინარია და გასტრონიული კულტურა
3) რიტუალები და ადათ-წესები საზოგადოებაში
4) ხელოვნების დარგები
5) თაობიდან თაობას გადაცემული ზეპირი ტრადიციები და მისი გამოხატვის ფორმები
6) გარესამყაროსთან დაკავშირებული გამოცდილება

- **რეწვა და სანახაობითი ხელოვნება**

გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზიის მრავალ საკონფერენციო თემაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საკითხია ტრადიციული რეწვა და სანახაობითი ხელოვნება.

ბევრი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის პროდუქტი მოიცავს რეწვის გარკვეულ გამოცდილებას. მაგალითები გვხვდება ამ მიმართებით: ბოტსვანაში, იაპონიაში, ლიტვაში და სხვა.

მეტი თვალსაჩინოებისთვის მოვიყვანოთ ლიტვური ტრადიციული

ხელოვნების და შემოქმედების ბაზრობა - ,,კაზიუკას ბაზრობა'' (https://www.way2lithuania.com/en/travel-lithuania/kaziuko-muge, n.d.) არის ფესტივალი ვილნიუსში, რომელიც ყოველ წელს იმართება. ამ ფესტივალზე გამოფენილია ტრადიციული ხელოვნების ნიმუშები და სუვენირები. ეს ღონისძიება ბევრ ტურისტს იზიდავს და ხშირად საზღვარგარეთი ან მეზობელი ქვეყნებიდან სწორედ ამ ფესტივალის გამო ჩამოდიან ლიტვაში. მეზობელი ქვეყნები სპეციალურ ტურებს ატარებენ ამ ფესტივალისთვის.

ტურისტები სხვადასხვა სახის სუვენირებს ყიდულობენ ამ ფესტივალის ფარგლებში, ესწრებიან ცეკვისა და სიმღერის კონცერტებს და ბედნიერნი, ახალი ემოციებით დატვირთულნი უბრუნდებიან თავიანთ გარემოს.

- **კულინარია და გასტრონომიული კულტურა**

ტურიზმის ცნება თავისთავად გულისხმობს მრავალფეროვნებას ამ სფეროში. გასტრონომიული კულტურის ჩართვა ტურიზმში აუცილებელი და საჭიროა, რადგან ხშირად ტურისტებს აინტერესებთ ამა თუ იმ ქვეყნის გასტრონომიული კულტურა და სულაც, ისინი მოგზაურობენ მხოლოდ იმიტომ, რომ ან დააგემოვნონ საკვები ან მონაწილეობა მიიღონ ეროვნული კერძების დამზადებაში.

მოვიყვანოთ ესპანეთის, კონკრეტულად ასტურიის მაგალითი **ყველისა და სიდრის ბილიკზე (Ruta'l quesu y la sidra)**. (http://www.rutalquesuylasidra.com, თ. გ.) ეს არის ტურისტული ბილიკი, რომელიც 1999 წელს სოფელ ასიეგუში ერთ-ერთი ეროვნული პარკის ახლოს დაარსდა. ამ პროექტის ავტორები ამავე სოფელში მცხოვრები ძმები იყვნენ.

მარშრუტი შედგება 2 ნაწილისგან: ერთი, რომ ტურისტებს შეუძლიათ დააგემოვნონ ყველი და ვაშლის მცირეალკოჰოლიანი ღვინო, იგივე - სიდრი, ამასთანავე მოინახულონ ასტურიის სოფლის ლანდშაფტები და დატკბნენ მისი

სილამაზით და მეორე ესპიჩა. ეს არის ტრადიციული სოციალური შეკრება, სადაც დაინტერესებული ადამიანები იკრიბებიან და შეიგრძნობენ სოფლის კულტურას.

ამ ფესტივალის პოპულარობა 1999 წლიდან უფრო და უფრო იზრდება და მან 2009 წელს უკვე 5000 სტუმარი მიიღო, რაც ამ პატარა სოფლისა და რეგიონისთვის საუკეთესო მაჩვენებელია. ამავე დროს სოფლის მოსახლეობა დასაქმებულია და ზრუნავს საკუთარი მხარის და სოფლის პოპულარიზაციაზე. ეს პროექტი მსოფლიო ბაზარზე გასვლით საერთაშორისო ვიზიტორების მეტ დაინტერესებას გამოიწვევს და მათი რაოდენობის ზრდის მეტ შესაძლებლობებს მოგვცემს.

- **რიტუალები და ადათ-წესები საზოგადოებაში**

მოვიყვანოთ **კორეის რესპუბლიკის ფესტივალი.** (https://ich.unesco.org/en/news/central-asia-strengthens-intersectoral-cooperation-on-living-heritage-and-education-13217, თ. გ.)

ეს ფესტივალი ტარდება სამხრეთ კორეის ერთ-ერთ ისტორიულ უბანში, რომელიც 80 სხვადასხვა პროგრამას მოიცავს 10 სხვადასხვა სფეროში. 2005 წელს ეს ფესტივალი იუნესკოს სიაშიც შევიდა.

ფესტივალი არის თემზე დაფუძნებული და მოგვითხრობს საუკუნეების განმავლობაში ამავე საზოგადოების მიერ დაგროვილ კულტურულ მიღწევებზე. ფესტივალი 8 დღეს გრძელდება და მისი მიზანია უფრო მეტი ტურისტის მოზიდვა. ტურისტები კი სიამოვნებას იღებენ ფესტივალის ფარგლებში პერფორმანსების ყურებით, სუვენირების შეძენით, ათვალიერებენ მათთვის საინტერესო ადგილებს, ძეგლებს და ა.შ.

ამავე ფესტივალის ფარგლებში უნდა აღვნიშნოთ სოფლის მუსიკა, ხალხური სიმღერები, ღია ბაზრობები და შამანების რიტუალები. ეს ფესტივალი და

წარმოდგენები ხაზს უსვამს ამ რეგიონის ინდივიდუალიზმს და წვლილი შეაქვს ტურიზმის განვითარებაში.

ადგილობრივი საზოგადოებისთვის ეს ფესტივალი შემოსავლის წყაროა, ასევე ფესტივალის ფარგლებში გადამზადდა გიდები, გაჩნდა მეტი სამუშაო ადგილი და ა.შ.

UNWTO–ს აბრეშუმის გზის პროგრამა: ტურიზმის მეშვეობით არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის განვითარება (http://cf.cdn.unwto.org/sites/all/files/docpdf/sr2016web.pdf, n.d.)

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია (UNWTO) ყოველთვის მხარს უჭერს ისეთი პროექტების განვითარებას, რომელიც არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას წინა პლანზე წამოწევს. გაეროს სააგენტოების პარტნიორობით და ხელშეწყობით, ორგანიზაციამ მხარი დაუჭირა აბრეშუმის გზაზე არსებული ქვეყნების ტურიზმის კუთხით მდგრად განვითარებას.

აბრეშუმის გზა (https://www.georoyal.ge/?MTID=5&TID=48&id=3615, თ. გ.) ვაჭრობის უპრეცედენტო მაგალითი იყო ძველ დროში, რომელიც ერთადერთ დამაკავშირებელ ხიდს წარმოადგენდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ის ინდოეთს, სპარსეთს, ჩინეთს და რომს ერთმანეთთან აკავშირებდა. სწორედ აბრეშუმის გზის დამსახურებაა ამ რეგიონებსა და მსოფლიოს შორის ხელოვნების, რელიგიის, ტექნოლოგიების გაცვლა.

2010 წლიდან UNWTO-მ თავიდან დაიწყო აბრეშუმის გზის მნიშვნელობაზე საუბარი და მოაწყო კონფერენციები და ღონისძიებები, რათა მსოფლიოსთვის გაეცნო ის გლობალური გამოწვევები, რასაც

აბრეშუმის გზა მოუტანდა. UNWTO-ს მთავარი პრიორიტეტია, რომ საზოგადოებას აუმაღლოს ცნობიერება აბრეშუმის გზის სიკეთეების შესახებ.

მოვიყვანოთ მაგალითი აბრეშუმისა და სანელებლების ფესტივალზე **უზბეკეთში (https://www.trt.net.tr/georgian/kultura-da-xelovneba/2017/05/30/abreshumis-da-saneleblebis-p-estivali-uzbeket-shi-742292, 2017)**. ეს ფესტივალი ყოველ წელს აღინიშნება ბუხარაში. ფესტივალი ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნებას უწყობს ხელს.

ფესტივალზე წარმოდგენილია შოუ პროგრამა, რომელიც უზბეკეთისა და მეზობელი ქვეყნების კულტურიდან წარმოაჩენს ტრადიციულ პროდუქტებს და წეს-ჩვეულებებს. სტუმრები აგემოვნებენ ისეთ ტკბილეულს, როგორიცაა ჰალვა, ასევე ესწრებიან წარმოდგენებს, მონაწილეობას იღებენ ხელნაკეთი ნივთების დამზადებაში. მათ ასევე საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ უზბეკებისთვის მნიშვნელოვანი კერძის - ფლავის მომზადებაში და შემდეგ მის დაგემოვნებაში.

- **ხელოვნების დარგები**

ტურიზმის სფეროს მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, მასში აუცილებელი კომპონენტია მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების ავთენტურობის დაცვა

ვისაუბროთ არგენტინის მაგალითის შესახებ. არგენტინაში, კერძოდ, ბუენოს-აირესში ყოველწლიურად ტარდება **არგენტინული ტანგოს საერთაშორისო ფესტივალი[3].** ეს ფესტივალი ბუენოს- აირესში 1997 წლიდან იმართება. 2009 წელს იუნესკომ ტანგო შეიყვანა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიაში. ფესტივალის ფარგლებში ტარდება ღონისძიებები, რომელიც მოიცავს პროდუქტების პრეზენტაციას, სემინარებს, მოცეკვავეების წარმოდგენებს და სხვა.

სწორედ ამ ფესტივალის ფარგლებში ტურისტების წილი უფრო გაიზარდა ბუენოს-აირესში, ასევე ყოველწლიური შემოსავალიც იზრდება. ბუენოს აირესს

[3] htttp://tangousachampionship.com/

კარგად გამოსდის ტანგოს ავთენტურობის შენარჩუნება.

- **თაობიდან თაობას გადაცემული ზეპირი ტრადიციები და მისი გამოხატვის ფორმები**

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობისთვის მნისვნელოვანია თაობიდან აობას გადაცემული წე-ჩვეულებები და ტრადიციები. ესენია: ლეგენდები, მითები, ეპიკური სიმღერები და ლექსები, ლოცვები, საგალობლები და ა.შ.

საუდის არაბეთში არის ასეთი ფესტივალი - სოუქ ოკაზი (**Souk Okaz)** (http://www.arabnews.com/node/1323071/saudi-arabia, n.d.). ეს ფესტივალი 2007 წლიდან ქალაქ ალ-ტაიფთან ახლოს, ისტორიულ ადგილ Souq Okaz-ში ტარდება და ის ქვეყნის არამეტრიალური კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი მოვლენაა.

ამ ფესტივალის ფარგლებში გამართული საჯარო სხდომები და არაბულ პოეზიაში ცნობილი მხატვრული კითხვა, ფოლკლორული ჩვენებები და წარმოდგენები, მაგალითად, ცეკვები, სიმღერები და სხვა. ფესტივალის მიზანია მოსახლეობა და ტურისტები დააინტერესოს არაბულ პოეზიაში, მათ კულტურასა და ტრადიციებში.

ავთენტური წესით წარმოდგენილი ამ ღონისძიებების ნაკრები ფესტივალის ფარგლებში იძლევა დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტურისტებზე. ისინი ინტერესდებიან ამ ფესტივალით და ცოდნას იღებენ Souk-ის და მისი ჩვეულებების შესახებ, ასევე ეცნობიან არაბულ კულტურას, მის აწმყოს და წარსულს.

ამ ფესტივალის ფარგლებში ვიზიტორთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, ასევე ამ ფესტივალმა დადებითი გავლენა მოახდინა ქვეყნის ეკონომიკაზე.

- **გარე სამყაროსთან დაკავშირებული გამოცდილება**

გარე სამყაროს შესახებ გამოცდილების მიღებასტან დაკავშირებით მოვიყვანოთ ბრაზილიის მაგალითი - **ინდიელების კოსმოლოგიის ტურები, მანაუს, ბრაზილიაში**[4]. ეს ტურები დაიწყო 2000 წელს ბრაზილიაში, ერთ-ერთმა სასტუმრომ პარტნიორებთან ერთად დაგეგმეს ახალი ტურ-პროდუქტი, რომელიც შემდეგ საზოგადოებისთვის იქაური მოსახლეობისთვის ტურისტების მოზიდვის და შემოსავლის მიღების წყარო გახდა. კოსმოლოგიის ტური მოიცავს დაინტერესებული ჯგუფის შეკრებას და კოსმოსში არსებულ ვარსკვლავებზე დაკვირვებას.

ამ პროექტს აქვს 4 ძირითადი მიზანი: ტომის წევრებისთვის სტიმულირების უზუნველყოფა, რადგან არ დატოვონ საცხოვრებელი ტერიტორია, კულტურული მემკვიდეობის შენარჩუნება, დამატებითი შემოსავლების მიღება ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის, კულტურულ გაცვლაში ტურისტების ხელშეწყობა.

ამ პროექტის ფარგლებში სოფელი სტუმრებს ყოველდღიურად იღებს, ყოველდღე ამ ადგილს უფრო და უფრო ტურისტი სტუმრობს.

1.3 არამატერიალური კულტურული რესურსების მართვა

[4] http://whc.unesco.org/en/tentativelists/

და გამოყენება ტურიზმის სექტორში

კულტურულ მემკვიდრეობის - მატერიალური და არამატერიალური ძეგლების განვითარებას მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა ეთმობოდეს. სამწუხაროდ მსოფლიოში მატერიალურ კულტურულ ძეგლებს მეტი დრო ეთმობოდა, ვიდრე არამტერიალური კულტურული მემკვიდრეობა, თუმცა ახლა ეს სიტუაცია შეიცვალა და მატერიალურთან ერთად უკვე მოიხსენიება არამატერიალური ძეგლებიც. გამოცდილება ადასტურებს, რომ ბოლო წლებში ტურისტებშიც გაიზარდა დაინტერესება არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მიმართ, რასაც ადასტურებს ტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური საქმიანობაც.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მართვაში როგორც სახელმწიფო, ისე მუნიციპალური როლიც დიდია, აუცილებელია მუნიციპალიტეტი კარგად იცნობდეს საკუთარ არეალში არსებულ არამატერიალურ ძეგლებს და ყველა რესურსი გამოიყენოს მისი ცნობადობის ამაღლებისთვის ან განვითარებისთვის.

2003 წელს UNESCO-ს გენერალური კონფერენციის 32-ე კონვენციაში ასახულია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მართვის მიზნები და ამოცანები. ეს კონვენცია არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას განიხილავს, როგორც თაობიდან თაობაზე გადასულ კულტურულ მემკვიდრეობას.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ხორციელდება საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე.

კონვენციას მსოფლიოს 170 ქვეყანაა მიერთებული, მათ შორის საართველოც და ეს ქვეყნები თანამშრომლობენ ერთმანეთთანაც, განიხილავენ პრობლემებს და მისი გამოსწორების გზებს.

აღნიშნული კონვენციის მიღებას წინ უძღოდა UNESCO-ს მიერ

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხის შედგენა და მისი დამტკიცება. აღსანიშნავია, რომ ამავე ნუსხაში მსოფლიოში არსებულ არამატერიალურ ნიმუშებთან ერთად, ასევე შეიტანს ქართული ტრადიციული მრავალხმიანობა.

კონვენციაში მონაწილე სახელმწიფოები აღნიშნავენ, რომ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა ყველა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი რესურსია და პასუხისმგებლობას იღებენ მის დაცვასა და პოპულარიზაციაზე. ამ მხრივ ისინი იღებენ ერთმანეტსი ურთიერთთანამშრომლობის ვალდებულებას.

კონვენციასთან მიერთება შეუძლია ყველა სახელმწიფოს, რომელიც გამოთქვამს სურვილს, თუნდაც არ იყოს იუნესკოს წევრი ქვეყანა (მუხლი 33)

ის სახელმწიფოები, რომლებიც კონვენციას უკვე მიერთებულნი არიან, ვალდებულნი არიან:

ა) მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა, რათა დაიცვან მათ ტერიტორიაზე მდებარე ყველა არამატერიალური ძეგლი

ბ) აუცილებლად უზრუნველყონ არამატერიალური კულტურული ძეგლების დოკუმენტირება და კვლევა, შენარჩუნება და პოპულარიზაცია, ცნობადობის და როლის ამაღლება.

ხშირად ისმის კითხვა - რატომ ტურიზმი და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა?

კულტურულ ტურიზმს და არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას განვითარების საერთო მიზნები აკავშირებთ.

ტურიზმის სფეროში ცოცხალ მემკვიდრეობას შეუძლია ახალი სამუშაო ადგილების წარმოქმნა, ის ასევე ეხმარება ქვეყანას და მის ეკონომიკას სიღარიბის დაძლევაში. ტურიზმი დიდ სტიმულს იძლევა, შესაბამისად შემოსავლები აუცილებელია სწორად იყოს განაწილებული.

”ტურიზმის გლობალური ეთიკური კოდექსი”

(https://sites.google.com/a/iliauni.edu.ge/sakartvelo-da-turizmis-ganvitareba/turizmi---gankhilva, თ. გ.) ტურიზმს აღიქვავს, როგორც:

- ქვეყნისთვის მდგრადი განვითარების და შემოსავლის მატების ფაქტორს;
- ეს სფერო ისევე როგორც შემოსავლის წყაროა, ამავე დროს კულტურას იყენებს როგორც მოზიდვის წყარო;
- ტურიზმი - ეს არის ის საქმიანობა, რომელიც მომგებიანია როგორც მასპინძელი ქვეყნისთვის, ასევე მასში მაცხოვრებელი ერისთვის;

ასევე აღსანიშნავია, რომ ტურიზმი ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, დამატებით შემსავლებს, ინფრასტრუქტურას, ახალ პროფესიებს და ა.შ.

ტურიზმის განვითარების მხარდასაჭერად მსოფლიოს ქვეყნები გამოყოფენ ხოლმე შეღავათებს, იაფ კრედიტებს, ასევე საკანონმდებლო აქტებს, რომელიც ხელს შეუწყობს ტურისტული მომსახურეობის განვითარებას, ტურიტების უსაფრთხოებას და ა.შ.

UNESCO-მ ჩაატარა ტურიზმისა და რამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კვლევები, საიდანაც გამოიკვეთა შემდეგი ამოცანები:

- ტურიზმს და არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას შორის რისკების აცილების ან შესაძლებლობების უზრუნველყოფა.
- მთავრობის ხელმძღვანელობით მიმდინარე საქმიანობების და ინიციატივების გამოკვლევა კონკრეტული პირების თუ ორგანიზაციების მიერ
- ტურისტული პროდუქტის შემუშავების ყველა ნაბიჯის გავლა და მარკეტინგული ნაბიჯების განხილვა
- UNESCO-ს წევრი ქვეყნებიდან საუკეთესო პრაქტიკის ნიმუშების წარდგენა.

თავი 2. საქართველოს არამატერიალური კულტურული

მემკვიდრეობის გამოყენების ანალიზი ტურიზმში

2.1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სფეროები საქართველოში

საქართველოში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი სფეროებია:

- **ზეპირი ტრადიციები და მოხატვის ფორმები**:
- **საზოგადოებრივი პრაქტიკა**
- **საშემსრულებლო ხელოვნება:**
- **ხელოსნობის დარგები და ტექნიკა**

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა არ არსებობს შემოქმედის გარეშე, ამიტომ ამ შემოქმედად ითვლებიან ის ადამიანები, რომლებიც თაობიდან თაობას გადასცემენ ასეთი სახეობის მემკვიდეობას. მისი მატარებელი შეიძლება იყოს ერი, საზოგადოება, თემი და ა.შ. ასეთი სახეობის მემკვიდრეობა საზოგადოებაში იდენტობის და მემკვიდრეობითობის და სიამაყის გრძნობას აჩენს.

მსოფლიომ უკვე გაიაზრა არამატერიალური კულტურული ძეგლების შენარჩუნების აუცილებლობა და საერთაშორისო საზოგადოებამ ბოლო წლებში ბევრი ნაბიჯი გადადგა მის დასაცავად. მნიშვნელოვანია არამატერიალური კულტურული მემკვიდეობის დაცვის კონვენციის მიღება.

საქართველოც ამავე კონცეფციის ხელმომწერი ქვეყანაა და ის აბსოლუტურად იზიარებს მასში მოცემულ დებულებებს. საქართველოში ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან აქტუალური და განხილვის საგანი იყო ფოლკლორისა და ტრადიციების დაცვის საკითხი. ასეთი მიდგომის შედეგია ის, რომ საქართველომ დღემდე შემოინახა ის უძველესი ტრადიციები, მრავალხმიანობა, თამაშობანი, ცეკვები, ქსოვის ტექნიკა და ა.შ.

მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის მიზანია, მოიძიოს მნიშვნელოვანი ძეგლები მსოფლიოს ტერიტორიაზე და წარადგინოს მსოფლიო მემკვიდრეობის

ნუსხაში. ამ ნუსხაში შესატანად აუცილებელია ამ ძეგლებს გააჩნდეთ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები.

ღირსშესანიშნავი ადგილი, რომელიც ნომინირდება მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში წარსადგენად, გარკვეულ კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს, მათ შორის:

- მან უნდა გამოავლინოს ადამიანის შემოქმედებითობა
- ის უნდა წარმოადგენდეს დღეს უკვე გამქრალი ცივილაზიის ამსახველ უნიკალურ ნიმუშს
- უნდა იყოს არქიტექტურის ან ლანდშაფტის ღირსშესანიშნავი მაგალითი

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა ხალხიდან მომავალია და ის ეკუთვნის თვითონ ხალხს და სწორედ ეს ადამიანები არიან მისი შენარჩუნების გარანტნი.

2007 წელს საქართველო შეუერთდა კონვენციას, რაც ნიშანი იყო იმისა, რომ ჩვენმა სახელმწიფომ არამატრიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კუთხით დიდი ნაბიჯი გადადგა და პასუხისმგებლობა აიღო მის დაცვაზე, პრობლემების აღმოფხვრაზე, აღორძინებასა და პოპულარიზაციაზე.

სასიხარულო და საამაყოა ის, რომ 2001 წელს UNESCO-ს მემკვიდრეობის სიაში დასახელდა ,,ქართული მრავალხმიანობა'', 2013 წელს კი ,,ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ტრადიციული მეთოდი''. 2014 წელს **''ქართული ჭიდაობა''** შევიდა ამავე ნუსხაში.

საქართველოში არამატერიალურ ძეგლად სულ 48 ერთეულია მიჩნეული. ამ ძეგლების არამატერიალურ ნუსხაში შეტანა 2011 წლიდან დაიწყო, შესაბამისად პირველი აღიარებული ძეგლი იყო ქართული მრავალხმიანობა, შემდეგ კი ქვევრი. არამატერიალური კულტურული ძეგლები მომობნეულია საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, მაგრამ უფრო მეტად სჭარბობს სვანეთი. მაგალითად სვანური ხალხური საკრავის ჭუნირის დამზადების ტრადიციული მეთოდი, სვანური ქუდის

დამზადების ტექნოლოგია, სვანური სამზარეულოს რამდენიმე კერძის დამზადების წესი და ა.შ. (დანართი 1)

საქართველოს კანონის „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ (https://matsne.gov.ge/ka/document/view/21076?publication=13, https://matsne.gov.ge/ka/document/view/21076?publication=13, თ. გ.) მე-18 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბებულია შემდეგი რედაქციით (საქართველოს კანონი, 2013)

1. ძეგლს, სამინისტროს მიმართვის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის დადგენილებით შეიძლება განესაზღვროს **ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია,** თუ მას აქვს გამორჩეული მხატვრული ან ესთეტიკური ღირებულება ან თუ იგი დაკავშირებულია უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენასთან, პიროვნებასთან, ერის განვითარების ეტაპთან და გამორჩეულ ზოგად ეროვნულ ღირებულებებთან.

2. ეროვნული მნიშვნელობის უძრავ ძეგლს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესატანად მინისტრის მიმართვის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით წარადგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.“ (https://matsne.gov.ge/ka/document/view/21076?publication=13, თ. გ.)

დამტკიცდა არამატერიალური კულტურის მემკვიდეობის შევსების წესი და მისი სააღრიცხვო ეროვნული ბარათი.

საქართველოში 2008 წელს დაარსდა კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტო, რომელიც კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაშია. სწორედ ეს სააგენტოა პასუხისმგებელი საქართველოში არამატერიალური კულტურული მემკვიდეობის კონვენციის შესრულებაზე. სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს დაინტერესებულ მხარეებთან, მან 2011-12 წლებში სისტემური ანალიზი მოამზადა და შეისწავლა საერთაშორისო მაგალითები ამ დარგში.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველო მდიდარია არამატერიალური ძეგლებით. ქართული ხალხური რეწვა საუკუნეების განმავლობაში თაობიდან თაობას გადაეცემოდა და ჩვენამდე ასე მოაღწია. ასევე ხელნაკეთი ნივთების მემკვიდრეობა, მაგალითად, ხევსურული წინდა. მისი ყოველი დარგი, როგორიცაა ხეზე კვეთა, ქსოვა და სხვა, ერთმანეთისგან განსხვავებულია და მრავალფეროვანი ტექნიკით გამოირჩევა.

ტრადიციული რეწვის საბოლოო პროდუქტი მაინც მატერიალური და ხელშესახებია, თუმცა სწორედ კონვენციაც აღნიშნავს, რომ მისთვის არა საბოლოო პროდუქტია მნიშვნელოვანი, არამედ პროდუქტის მიღების პროცესი. მთავარია ტრადიციის შენარჩუნება და ცოდნის თაობიდან თაობაზე გადაცემის უზრუნველყოფა.

ხშირად ქარხნულად დამზადებული თითქმის იგივე პროდუქტი ბევრად იაფი ღირს, ვიდრე საკუთარი შრომით ადამიანის დამზადებული, გლობალიზაციის პირობებში ხშირად ხელნაკეთი რეწვის ნაწარმი კონკურენციას ვერ უწევს ქარხნულ ნაწარმს, რაც ზოგიერთი ტრადიციის დაკარგვის საშიშროებას ქმნის.

ტრადიციული რეწვის ნიმუშებით შემოსავლების მიღება ძალიან მარტივია, მაგალითად ტურისტი როცა ჩამოდის საქართველოში და ყიდულობს ასეთ ნივთს, შეიძლება ის დაინტერესდეს არა მარტო მისი შეძენით, არამედ სურვილი გაუჩნდეს დაესწროს ან ისწავლოს მისი დამზადების პროცესი, რადგან ეს ნივთი საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდეობის ნაწილია.

საქართველოში ყველა კუთხეს თავისი დამახასიათებელი თავისებურება გააჩნია, მაგალითად, ხევსურეთი გამოირჩევა ქარგვით და ქსოვით, ლითონის დამუშავებით სვანეთი, ხეზე კვეთით იმერეთი და ა.შ. სწორედ ეს მრავალფეროვანი დარგები გამოყოფს საქართველოს ყველა რეგიონს არამატერიალური კულტურული ძეგლების სიუხვის კუთხით.

საქართველოს მთავრობა კონკრეტულ ინიციატივებს და ახალ გამოწვევებს

ახორციელებს ტრადიციული რეწვის სფეროში. მაგალითად, კულტურის ძეგლთა დაცვის სამინისტრომ 2012 წელს სტრასბურგის საშობაო ბაზრობაზე ხალხური რეწვის ქართული პროდუქცია წარადგინა, რაც დადებითი ქმედება იყო საქართველოს სახელის წარმოსაჩენად და ამ კუთხით მეტი ტურისტის მოსაზიდად.

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრმა თბილისთან ახლოს, დუშეთში ადგილობრივი ხელოვანების და რეწვის ოსტატების ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად შექმნა სოციალური საწარმო - „ხვარამზე“ .

დუშელი ოსტატები ქმნიან მოთხოვნაზე ორიენტირებულ პროდუქციას, ასევე გაიხსნა მაღაზია, რომელშიც გამოიფინება ნაწარმი და გაყიდება მსურველებზე. ასევე, შეიქმნა ამავე რეგიონის გზამკვლევი დაინტერესებული ტურისტებისთვის. ‘’ხვარამზე’’-ს მაღაზია-სალონში 20-მდე ოსტატი ყოველდღიურად ქმნის ახალ პროდუქციას, რომელიც სალონში გამოიფინება და სხვა რეგიონებში გაიგზავნება სარეალიზაციოდ. ეს პროექტი ხელს შეუწყობს როგორც დუშელი ოსტატების საქმიანობის განვითარებას , ისე ქართული ხალხური რეწვის ტრადიციების შენარჩუნებას.

‘’ხვარამზეს’’ დაარსება მნიშვნელოვანია, მაგრამ პრობლემა იმაშია, რომ მხოლოდ ეს ერთი საწარმო მთელ საქართველოს ვერ მოემსახრება, აუცილებელია ყველა რეგიონში არსებობდეს ასეთი პროექტები, სადაც სოფლის თუ თემის მოსახლეობა მონაწილეობას მიიღებს რეწვის ტრადიციების შენარჩუნებაში, ამავე დროს ასეთი საწარმოები შექმნიან მეტ სამუშაო ადგილებს.

იმისათვის, რომ გამეგო საქართველოს მოსახლეობამ იცის თუ არა ზოგადად ტერმინის - არამატერიალური კულტურული ძეგლის არსი ან თუ იცის ამ ძეგლების სიის შესახებ, ჩავატარე სოციოლოგიური კვლევა, რომელშიც 200-ზე მეტმა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა. კითხვარში მოცემული იყო ღია და დახურული კითხვები. გამოკითხულთა პასუხების მიხედვით შეგვიძლია ამ საკითხზე საზოგადოების ცოდნასთან დაკავშირებით ამ საკითხზე გარკვეული

დასკვნების გამოტანა.

კითხვარში მონაწილეების 92 % 23-დან 30 წლამდე იყო, ხოლო სქესს რაც შეეხება 84 % მდედრობითი სქესის იყო. კითხვაზე იცოდნენ თუ არა რას ნიშნავდა არამატერიალური კულტურული მემკვიდეობა, როგორც ცნება გამოკითხულთა 84-მა პროცენტმა დადებითი პასუხი გასცა, ხოლო 12-მა პროცენტმა უარყოფითი. იმის გათვალისწინებით, რომ მაინტერესებდა თუ რომელ არამატერიალურ ძეგლებზე ჰქონდათ ინფორმაცია გამოკითხულებს დავსვი კითხვა და დავტოვე მათ მიერ ჩასაწერი ადგილი, რაშიც გამოკითხულები პასუხობენ, რომ იციან ქვევრის შესახებ, ქართული მრავალხმიანობის, ქართული ანბანის, დამწერლობის შესახებ და სხვა.

კითხვაზე თუ როგორ ხედავდნენ გამოკითხულები ტურიზმში ტუროპერატორების რილს არამატერიალური კულტურული ძეგლების ცნობადობის ამაღლების კუთხით 88 % აღნიშნავს, რომ ტუროპერატორები არის მთავარი რგოლი და მათ უნდა მიაწოდონ ტურისტებს ინფორმაცია კონკრეტული ძეგლის შესახებ და ბოლოს პრობლემაში, თუ რატომ არის ნაკლები ცნობადობა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ გამოკითხულთა 84 % ასახელებს, რომ ეს მოსახლეობის დაბალი ინტერესის ბრალია. (დიაგრამები. დანართი 2)

ტურიზმი დაკავშირებულია დასვენებასთან, განტვირთვასთან და ამავე დროს გართობასთანაც. საქართველოში უამრავი გასართობი ობიექტია, რომელიც მოწონებას იმსახურებს ტურისტებისგან. თეატრების ფართო არჩევანი, საოპერო თეატრები, სხვადასხვა გასართობი ობიექტები, რომლებიც დაინტერესებულ პირებს მუდმივად სთავაზობენ სხვადასხვა წარმოდგენებს და განახლებულ სპექტაკლებს.

საქართველოში მოგზაური ტურისტების ინტერესის სფერო ასევე არის რელიგიური და წარმართული დღესასწაულები ჩვენს ქვეყანაში.

დღესასწაულები, რომელსაც აწესებს სახელმწიფო, მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის, მაგალითად, როგორიცაა საეკლესიო დღესასწაულები. მათ

მოახლოებას ჩვენ კალენდრის მეშვეობით ვიგებთ. ზოგირთ დღესასწაულს თავისი ფორმა, ჩაცმულობა და სამოქმედო პროგრამა აქვს.

სახელმწიფო დღესასწაულები, მაგალითად დამოუკიდებლობის დღე, რომელიც ახსენებს მოსახლეობას წარსულში ამ კონკრეტულ დღეს მომხდარ მოვლენას. ასეთი სახის დღესასწაულები წელიწადში ერთხელ აღინიშნება და სახელმწიფოს მიერ ორგანიზებულ კონცერტებზე ბევრი ქართველი და უცხოელი ტურისტი იყრის ხოლმე თავს.

აუცილებელია ტურიზმის ადმინისტრაციამ ყოველი თვის ტურისტული რუკა შეადგინოს, რათა ტურისტულმა კომპანიებმა და მათმა მენეჯერებმა ტურები ააწყონ ისე, რომ მიუსადაგონ დღესასწაულებს და უფრო საინტერესო გახადონ მოგზაურისთვის საქართველოს გაცნობა/შეცნობა.

საქართველოში მრავალი უძველესი ქართული დღესასწაული არსებობს. მათ შორის:

- ''შუამთობა'' - ძველი ქართული დღესასწაული, რომელიც მთის სამუშაოების შუა პერიოდს ემთხვევა.
- ვაჟაობა - მწერალ ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი დღესასწაული ჩარგალში, სადაც მის მოღვაწეობას იხსენებენ, იმართება პოეზიის საღამო და საზეიმო კონცერტი.
- ბათუმის ყოველწლიური ფოლკლორული და სიმფონიური მუსიკის ფესტივალი და ა.შ.

საქართველოში ასევე ცნობილია სხვადასხვა ტრადიციული თამაშობანი. მათ შორის:

- **ლახტაობა** - ეს თამაში საქართველოს სხვდასხვა კუთხეში იმართებოდა. თამაშის მთავარი მიზანი იყო სიმამაცის და ვაჟკაცური თვისებების გამომუშავება ახალგაზრდობაში. ამ თამაშის დროს ბიჭები იყოფოდნენ ორ ჯგუფად, ერთი მხარ იყო თავდამსხმელები,

მეორე თავდამცველები, რომლებიც იცავდნენ როგორც ლახტებს, ისე თავიანთ თავს.

- **ასკინკილა** - ამ თამაშის დროს ბავშვები ცალ ფეხზე ხტუნავენ ან დარბიან. ხშირად ორ ჯგუფად იყოფიან ბავშვები და ცალ ფეხზე ხტუნვით ცდილობენ ორი გუნდის წევრები ერთმანეთთან შეჯიბრებას.
- **ბერიკაობა - (მიენიჭა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი)** - ქართული ტრადიციული ნიღბების თეატრი. ამ თეატრს და წარმოდგენას მართავენ ბერიკები, რომელთა სცენარები საუკუნეების განმავლობაში იცვლებოდა. ეს საინტერესო სცენები სიახლე და წარსულის ტრადიციებთან შეწყმა იქნება ტურისტებისთვის.
- **ლელობურთი - რომელიც 2019 წლის 6 მარტს შევიდა არამატერიალური კულტურული ძეგლების სიაში** - მას უწოდებენ ხოლმე რაგბის წინამორბედ სპორტს. თამაშის წესები ასეთია: თითოეულ გუნდში თანაბარი რაოდენობის ადამიანების შეკრების შემდეგ იწყება თამაში. მოგებულია ის გუნდი, რომელიც სილით დატენილ ბურთს გადაიტანს მოწინააღმდეგის ხაზს იქით.
- **ქართული ჭიდაობა** - საქართველოსთვის ჭიდაობა განსაუთრებული სპორტის სახეობაა, რადგან ქვეყანას ჰყავს მოქმედი ჩემპიონები. საქართველოს ქალაქებში და რაიონებში მნიშვნელოვანი დღესასწაულები არ ჩაივლის ისე, რომ ქართული ჭიდაობა არ გაიმართოს. ორთაბრძოლები იმართება ღია ცის ქვეშ და გვიანობამდე გრძელდება, სანამ არ გამოვლინდება გამარჯვებული.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანებით, 2014 წელს ქართულ ჭიდაობას მიენიჭა არამატერიალური კულტურული მემკვიდეობის ძეგლის სტატუსი. აუცილებელია, რომ მუნიციპალიტეტებს

გაკეთებული ჰქონდეთ მათ რაიონში კონკრეტულ თვეში მოქმედი დღესასწაულების და წარმოდგენების რუკა და მიაწოდონ ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას, რომელიც, თავის მხრივ, გადასცემს ტურისტულ კომპანიებს, რომლებიც გამოიყენებენ ცნობადობის ამაღლებისთვის და ასევე ტურისტებისთვის გასაცნობად.

სამწუხაროდ, საქართველო ჯერ ჯერობით მაინც ვერ ახერხებს კოორდინირებულად იმოქმედოს სახელმწიფო და რეგიონალურ დონეზე და დაძლიოს მემკვიდრეობისა და ეკონომიკის ერთმანეთთან შეუთავსებლობის კომპლექსი.

2.2 არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გამოყენება

ტურისტული კომპანიების და ტუროპერატორების მიერ

მოგზაურობის, ტურიზმისა და მასპინძლობის ლექსიკონში (მედლიკის ავტორობით) (ქობლიანიძე თ., 2012) ტურისტული პროდუქტი, ვიწრო გაგებით, არის ის, რასაც ტურისტები ყიდულობენ, მაგალითად: ტრანსპორტით გადაადგილებას ან განთავსებას, ცალ-ცალკე ან პაკეტის სახით; ხოლო ფართო გაგებით ყველაფერი იმის ნარევი, რასაც ტურისტი აკეთებს და ყველა ის მიმზიდველობა, მოწყობილობა და მომსახურება, რასაც იგი იყენებს მოგზაურობისას. ტურისტის მხრიდან თუ შევხედავთ, მთლიანი ტურისტული პროდუქტი მოიცავს სრულ გამოცდილებას მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დატოვებიდან იქ დაბრუნებამდე. განსხვავებით თვითმფრინავში ადგილის ან სასტუმროს ოთახისაგან, როგორც ინდივიდუალური პროდუქტისაგან, მთლიანი ტურისტული პროდუქტი არის ზღვის სანაპიროზე დასვენება, ღირსშესანიშნაობების დათვალიერება ან მოგზაურობა კონფერენციაზე დასასწრებად და წარმოადგენს კომბინირებულ პროდუქტს.

ტურისტული პროდუქტი არ არის მხოლოდ ფიზიკური პროდუქტი, არამედ მას სჭირდება დამატებითი დაგეგმვა და განვითარება, პროდუქტის ფორმირება და სხვა. ტურისტული პროდუქტი ხასიათდება სეზონურობით, გრძელვადიანობით და მოკლევადიანობით და ა.შ.

ტურისტული პროდუქტის ფორმირებას ახორციელებს **ტუროპერატორი,** რომელიც მუდმივად ცდილობს ახალი მარშრუტების შესწავლას და დაინტერესებული მხარეებისთვის სიახლეების მიწოდებას, ასევე ეს პირი აკომპლექტებს და ადგენს ტურებს. კეთდება ხარჯთაღრიცხვა და შემდეგ უკვე გამზადებული ტური იყიდება პირდაპირი გზით ტურისტზე ან ტურაგენტზე - შუამავალზე.

ტუროპერატორი ტურის შექმნისა და მისი გაყიდვისას ტურისტებისთვის ამარტივებს ყველანაირ გადაადგილებას ქალაქიდან ქალაქს შორის, ის თავის თავზე იღებს ტურის მიმდინარეობაზე დაკვირვების პროცესს.

როგორც ვიცით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ტურის ძრითადი სერვისი არის ტრანსპორტირება, დაბინავება და კვება. თუმცა ამ მცირე ჩამონათვალიდან ტურისტი ვერ ახერხებს კარგად დასვენებას და დამატებითი ღირებულების სანაცვლოდ ყიდულობს სხვადასხვა მომსახურებებს, რასაც ისევ ტუროპერატორი უწევს ორგანიზებას.

ტუროპერატორების მიერ ტურისტული პროდუქტის შექმნისას პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს:

- **რას ყიდულობს ტურისტი?** - ტურისტული პროდუქტის შეთავაზება იწყება ტუროპერატორის მიერ ტურისტის ბიუჯეტის გაცნობით, ასევე მისი ინტერესებიდან გამომდინარე მარტივია მივხვდეთ, რა უნდა შევთავაზოთ და რა იქნება ტურისტისთვის მისაღები, რომ გაიცნოს ახალი ქვეყანა და ამავე დროს სასიამოვნოდ გაატაროს დრო.
- **მოქნილობა** - აუცილებელია ტუროპერატორი მოერგოს ტურისტის მოთხოვნებს ძალიან სწრაფად.
- **სარგებლიანობა** - ტურისტი უნდა დარჩეს კმაყოფილი, ასევე სარგებელი უნდა მიიღოს ტუროპერატორმაც.

ტურისტული სააგენტოები და მათში მომუშავე ტუროპერატორები მზად არიან ტურისტის ნებისმიერი მოთხოვნა შეასრულონ, ან ამ მოთხოვნის შესრულება თუ შეუძლებელია აუხსნან ტურისტს, რომ ისინი არ იცნობენ ქვეყანას და ურჩიონ სხვა მიმართულება ან მომსახურება.

გასულ წელს, 12 აგვისტოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, ადგილობრივი მთავრობის მიერ დაიგეგმა დიდგორობის დღესასწაულის აღნიშვნა. ამ ღონისძიების მიზანი იყო ტურისტული ნაკადების თეთრიწყაროს რაიონში გადაადგილება და ტურისტული ჯგუფების მეტი ინტერესის მოპოვება ამ რაიონით. ამავე დღესასწაულზე გამოფენილი იყო ადგილობრივების მიერ ხალხური რეწვის ნიმუშები. ღონისძიება ასახავდა დიდგორის ველზე 1121 წელს

მომხდარი ბრძოლის გაცოცხლებას და ამ დღისადმი პატივის მიგებას.

საქართველოს ყველა რეგიონს აქვს გარკვეული სახის ისტორია. შეიძლება ნებისმიერ რეგიონში მოეწყოს ასეთი სახის ღონისძიებები, შედეგად მოხდება მეტი ტურისტის მოზიდვა, რაც კარგად იმოქმედებს რაიონის მოსახლეობის ეკონომიკურ კეთილდღეობაზე.

საქართველოში ბევრი ტრადიციაა მივიწყებული, რომელსაც შენარჩუნება და განვითარება სჭირდება. ძველი ტრადიციების გახსენება განსაკუთრებით ტურისტებისთვის იქნება საინტერესო. აუცილებელია ცოცხალი ტრადიციები ტურისტულ პროდუქტად გარდაიქმნას. ამისთვის აუცილებელია სისტემური მიდგომა.

მოგზაურისთვის პირველ რიგში სტუმარ-მასპინძლობაა მნიშვნელოვანი, შემდეგ ის ტრადიციები რასაც ატარებს ქვეყანა და როგორ, რა საშუალებებით გადმოსცემს ეს ქვეყანა ამ ტრადიციებს.

ზოგადად, ტურისტისა და მოგზაურისთვის უფრო მარტივია ტურისტულ კომპანიაში ფულის გადახდა, რადგან მოგზაური დარწმუნებულია, რომ მიიღებს სწორედ იმ დაგეგმილ ტურს, რომელიც მას აინტერესებს. მარტივია ტურისტულმა კომპანიამ გირჩიოს ამა თუ იმ ტრადიციის შესახებ და დაინტერესებული პირები ჩართოს ამა თუ იმ ტრადიციულ ღონისძიებაში.

ტურისტული შეთავაზება, პირველ რიგში, უნდა აკმაყოფილებდეს მოგზაურის მოთხოვნებს. ამისთვის საჭიროა კოორდინირებული მოქმედება როგორც სახელმწიფო, ისე რეგიონალურ დონეზე.

2.3 არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის

მდგომარეობა და მის მიმართ არსებული საფრთხეები

საქართველოსთვის კულტურული მემკვიდრეობა ძალიან მნიშვნელოვანია, რასაც მოვლა, პატრონობა და შენარჩუნება სჭირდება. ამაში ჩართული უნდა იყოს არა მხოლოდ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, არამედ ხელისუფლების ყველა შტო. ასევე საზოგადოებაც ვალდებულია არამატერიალური ძეგლების შესახებ სწორად გადასცენ თაობიდან თაობას ინფორმაცია და შენარჩუნდეს ის თვითმყოფადობა, რაც აუცილებელია ასეთი მემკვიდრეობისთვის.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დებულების მეორე მუხლის თანახმად, კულტურულ მემკვიდრეობასთან მიმართებაში მისი ამოცანებია: (https://matsne.gov.ge/ka/document/view/1020161?publication=0, თ. გ.)

ა) კულტურული მემკვიდრეობის სფეროებში ქვეყნის ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, დაგეგმვა და რეალიზების კოორდინაცია;

ბ) მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, თუ სხვა კულტურულ ღირებულებათა აღრიცხვა, დაცვა, შენარჩუნება და პოპულარიზაცია;

გ) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და მისი მუდმივი სისტემატური შემოწმება, რაიმე პრობლემის გამოვლენის შემთხვევაში, სწრაფად გადაწყვეტის უნარი;

დ) კულტურული მემკვიდრეობის სფეროებში საქველმოქმედო და საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობა;

ე) რეკომენდაციაების შემუშავება საქართველოს მთელი ტერიტორიისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვისთვის (https://matsne.gov.ge/ka/document/view/1020161?publication=0, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1020161?publication=0, თ. გ.)

კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტს მრავალი ფუნქციის შესრულება ევალება ამ მხრივ.

მაგალითად, დეპარტამენტი ვალდებულია შეიმუშაოს სამინისტროს პოლიტიკა, რომელიც მოიცავს საქართველოში ან საზღვარგარეთ არსებული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების მოვლა-პატრონობას, ან მათი პოპულარიზაციისთვის ღონისძიებების ორგანიზებას, კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საზოგადოების ინტერესის და ცნობიერების ამაღლებას და ა.შ.

საქართველოს ყველა რეგიონში არის სპეციალური სამსახურები, რომელიც კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაშია, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ასეთი სახის ძეგლების დაცვაზე და მათ შენარჩუნებაზე.

არასამთავრობო სექტორი ასევე აქტიურადაა ჩართული კულტურული მემკვიდრეობის სექტორში. მათ შორის: ICOM[5] საქართველო, მწვანე ალტერნატივა, ,,მემკვიდრეობა მომავლისთვის'' და ა.შ.

მატერიალური კულტურული მემკვიდეობის ნაწილში მნიშვნელოვანია ქართული ეკლესიის როლი. სახელმწიფოს და მართლმადიდებელ ეკლესიას ერთობლივი კონსტიტუციური შეთანხმება აქვთ, რომ ერთად უნდა განახორციელონ ქვეყნის მემკვიდრეობის დიდი ნაწილის, მათ შორის ეკლესია-მონასტრების მოვლა-პატრონობის საკითხი.

კულტურული მემკვიდრეობის მართვაში დიდი როლი აკისრია თბილისის მერიას და საკრებულოს. სამწუხაროდ, საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის მართვისთვის საჭირო საკანონმდებლო ბაზა არ არსებობს. უფრო უარესი მდგომარეობაა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მართვის სფეროში, აქ უამრავი პრობლემაა, რომელზე მუშაობაც ჯერ ჯერობით არ ხერხდება.

დგას თუ არა ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა საფრთხის წინაშე?

დროთა განმავლობაში ჩვენი კულტურული ძეგლები ზიანდება და ამ ყველაფერს გვერდს ვერ ავუვლით. შეგვიძლია დაზიანების დროში გაწელვა, მაგრამ მისი აცილება შეუძლებელია.

[5] ICOM – Iternational Counsil of Musums

ადამიანები ამ ყველაფერს ვერ აცნობიერებენ, რადგან ფიქრობენ, რომ თუ მემკვიდრეობა გადაურჩა ასწლეულებს ის მარადიულად იქნება. რელობაში კი თაობიდან თაობას შეიძლება აღარ გადაეცეს ის ტრადიციები, რაც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობისთვისაა მნიშვნელოვანი, ასევე მატერიალური კულტურული ძეგლები შეიძლება დაზიანდეს კლიმატური პირობების გამო, წვიმის, ქარის და სხვა მოვლენების გამო.

ბოლო წლების განმავლობაში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს საფრთხე შეექმნათ. ეს დამოკიდებული იყო გლობალიზაციაზე და მსოფლიოს განვითარების სწრაფ ტემპზე. ტურიზმის სწრაფი ზრდა, სოციალური და ეკნომიკური ცვლილებები - ეს ყველაფერი გავლენას ახდენენ მემკვიდრეობის ძეგლებზე.

ზუსტად იგივე ფაქტორები პრობლემას უქმნის არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას. მათ შორის: ტრადიციულ ცეკვას, მრავალხმიანობას, ლეგენდებს, რადგან ეს ყველაფერი თაობიდან თობას გადაეცემა და სწორედ გლობალიზაციას მოაქვს მათი დაკარგვის საფრთხეები.

არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას დიდი მოფრთხილება სჭირდება, რადგან მისი თაობიდან თაობაზე გადამცემი და ასევე შემანარჩუნებელი წყარო ადამიანია. საფრთხედ შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის ნაკლები ინტერესი აკმ-ს შესახებ.

სამოქალაქო კამპანიების ისტორია საქართველოში

საქართველო მისი განვითარების კონკრტულ ეტაპებზე ცდილობდა შეენარჩუნებინა ქვეყნის თვითმყოფადობა და მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვდრეობის ძეგლები. ამისთვის იმართებოდა სხვადასხვა სამოქალაქო კამპანიები, რათა დაეცვათ ქვეყნისა და ერისთვის მნიშვნელოვანი ძეგლები.

XIX საუკუნიდან იწყება სამოქალაქო კამპანიების ისტორია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კუთხით, რაც გულისხმობს მთელს საქართველოში

მიმოფანტული ხელნაწერების, საეკლესიო ნივთების და სხვა ნიმუშების მოძიებას და მათი შენარჩუნებისთვის ღონისძიებების ჩატარებას, ასევე არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების - სიმღერების, ლექსების, სიმღერების ჩაწერას. ამ საქმიანობაში ჩართულნი იყვნენ სხვადსხვა არასამთავრობო ორგანიზაციები და კერძო პირები.

როგორც ადრე, ასევე ჩვენს დროშიც პრობლემა არის დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ირგვლივ. სწორედ 1987 წლიდან დაიწყეს ამ კომპლექსის დასაცავად გამოსვლა სტუდნტებმა. ეს გამოსვლები რაღაც პერიოდი იღებდა შედეგს და მშვიდდებოდა სიტუაცია, მაგრამ კონკრეტული დროის შემდეგ ისევ იჩენდა პრობლემები თავს. ახლაც, ჩვენი მეზობელი ქვეყანა ცდილობს საჯარისო დანაყოფების მეშვეობით პრობლემა შეუქმნას საქართველოსთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძეგლს, მაგრამ ეს პროცესები ნელ-ნელა მიწყნარდა და ეს ისევ ჩვენი საზოგადოების ჯანსაღი პროტესტის შედეგია.

ბოლო დროს არამატერიაური კუ;ტურული მემკვიდრეობის ძეგლების გარშემო გააქტიურდა სამოქალაქო სექტორიც, საზოგადოებაში გაიზარდა მგრძნობელობა, რაც გამოჩნდა მცირე საინიციატივო ჯგუფების შექმნით, რომლებიც განიხილავენ პრობლემას და ცდილობენ გადაჭრის გზების მოძებნას.

ძეგლის დაცვის კამპანიებში ცნობილი იყო ბაგრატის ტაძრის რეკონსტრუქციის საპროტსტო აქცია „გადავარჩინოთ ბაგრატის ტაძარი", რომელიც უშედეგოდ დასრულდა. ამ აქციის მონაწილეებიითხოვდნენ სარემონტო სამუშაოების შეწყვეტას, რადგან ეს პრობლემას შეუქმნიდა ამ ძეგლს, როგორც კულტურულ მემკვიდრეობას.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის თხოვნით შეჩერდა სარემონტო სამუშაოები. 2013 წელს კი UNESCO-ს მემკვიდრეობის კომიტეტმა ბაგრატის ტაძარზე აღნისნა, რომ ის უკვე აღარ აკმაყოფილებდა იმ კრიტერიუმებს, რის გამოც შეყვანილი იო მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში. ასევე, კომიტეტმა მოუწოდა საქართველოს მთავრობას თავიდან წარედგინათ ახალი

საზღვრებით ეს ტაძარი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კუთხით საფრთხეები მუდამ არსებობს. არამატერიალურ კულტურულ ძეგლებს რაც შეეხება, ეს არის იმ ტრადიციების დაკარგვა, რაც თაობიდან თაობას უნდა გადაეცეს, ან მოსახლეობის ნაკლები ინტერესი ჩართული იყოს ამ პროცესში, ხოლო მატერიალური კულტურული ძეგლების მხრივ გლობალიზაცია, კატაკლიზმები, უარყოფითი ჩარევა კონკრეტული ძეგლის არქიტექტურაში, როგორც ეს ბაგრატის შემთხვევაში მოხდა, ამინდის ცვალებადობა - ეს ყველაფერი გავლენას ახდენს მათ დაზიანებაზე, რაზეც ყურადღება უნდა გავამახვილოთ და მუდმივად ჩართულნი ვიყოთ, რომ არ დავკარგოთ ჩვენი ქვეყნის კულტურული ელემენტები.

თავი 3. საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მართვის სრულყოფის მიმართულებები

ტურიზმში

3.1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მართვა, როგორც ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი რესურსი

2003 წლის 17 ოქტომბერს პარიზში მიღებულ იქნა საერთაშორისო კონვენცია ,,არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ''. (https://matsne.gov.ge/ka/document/view/1205181?publication=0, თ. გ.) კონვენციაში მკაფიოდ არის ნათქვამი, რომ არამატერიალური კულტურული ძეგლები - ეს არის ხალხთა დაახლოების ინსტრუმენტი, მას აქვს ურთიერთგაცვლის და ურთიერთგაგების ხელშემწყობი ფაქტორის როლი და ის არის კულტურათა მრავალფეროვნების შენარჩუნების წყარო.

ამ კონვენციაზე მიერთებული სახელმწიფოები ვალდებულნი არიან:

ა) გაატარონ ყველანაირი ზომები, რადგან დაიცვან სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებული არამატერიალური კულტურული ძეგლები,

ბ) არასამთავრობო ორგანიზაციების თუ სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად მოახდინოს ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ძეგლების იდენტიფიცირება, მოვლა და შენარჩუნება.

საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ერთ-ერთი მთავარი მარეგულირებელი დოკუმენტია საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ", (https://matsne.gov.ge/ka/document/view/21076?publication=13, თ. გ.) რომელიც 2007 წელს იქნა მიღებული. ეს კანონი ეხება ასევე არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობასაც.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის განვითარებისთვის აუცილებელია რიგი ღონისძიებების განხორციელება, როგორიცაა: (არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა, რეალობა და პერსპექტივა, 2016)

- ამ დარგის განვითარების გეგმის და სამომავლო სტრატეგიის შემუშავება;
- საინფორმაციო და ელექტრონული ბაზის შექმნა, სადაც მონიშნული იქნება ყველა მატერიალური თუ არამატერიალური ძეგლი;
- მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან მეტი ურთიერთობა და თანამშრომლობა.

2016 წელს შემუშავებულ დოკუმენტში „კულტურის სტრატეგია 2025“ (http://www.georgianmuseums.ge/ckfinder/userfiles/files/kulturis-strategia-2025-bolo.pdf, თ. გ.) საყურადღებოა ისეთი საკითხები, როგორიცაა: (სამინისტრო, 2016)

- ისეთი არამატერიალური ძეგლების, როგორიცაა ზეპირსიტყვიერება და სოციალური პრაქტიკა, რომელიც გაქრობის საფრთხის წინაშეა - სიცოცხლისუნარიანობის აღდგენა;
- ფოლკლორის ხელოვნების დაცვის მიზნით კვლევების ხელშეწყობა, ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობა;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება არამატერიალური კულტურული ძეგლების შესახებ.

კულტურული მემკვიდრეობის წინაშე კონკრეტული ამოცანებია, რომლის განხორციელებასაც დიდი თანხები სჭირდება. სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ გამოყოფილი თანხები კი არ არის საკმარისი. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ მატერიალური ან არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა სახელმწიფოსათვის პრიორიტეტი არ არის.

ჩვენს ქვეყანაში, სამწუხაროდ, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სპეციალობაში არ არის გამოცდილი და კვალიფიციური კადრები. ზოგიერთი უნივერსიტეტი ამზადებს სდოქტორო პროგრამებით არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის პროფილის სპეციალისტებს, მაგრამ ზოგი კურსდამთავრებული სულ სხვა სფეროში განაგრძობს სამსახურის ძიებას, ზოგი კი უბრალოდ აღარ აგრძელებს ამ პროგრამის შესწავლას.

კიდევ ერთი არსებული პრობლემა ქვეყანაში არის საზოგადოების გაუთვითცნობიერებლობა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის საკითხში. თუ გვინდა სასურველი შედეგების მიღწევა, აუცილებელია ადამიანებს სწორად მივაწოდოთ ინფორმაცია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ეს მიმართულება ჩვენი ქვეყნისათვის და რაოდენ მნიშვნელოვანია მისი მოვლა-პატრონობა და შენარჩუნება.

მემკვიდრეობის ძეგლების გაციფრულება აუცილებელია სწორედ იმ ტურისტების დასაინტერესებლად, რომლებიც შემოდიან საქართველოში, მათ მარტივად შეეძლებათ წაიკითხონ ნებისმიერი სხის ინფორმაცია მათთვის საინტერესო მატერიალური თუ არამატერიალური ძეგლების შესახებ.

აუცილებელია კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო ბაზის მოწესრიგება, რომელიც ხელს შეუწყობს ინტერესის დონის ამაღლებას. ასევე, კულტურული მემკვიდრეობის სფეროში მნიშვნელოვანი ამოცანებია: მატერიალური და არამატერიალური კულტურული ძეგლების მართვის სფეროში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვა, არამატერიალური კულტურული ძეგლების მოძიება და მათი შენარჩუნება, დაცვა და პოპულარიზაცია.

3.2. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმში ჩართვის და მისი განვითარების გზები

კულტურული ტურიზმი და კულტურული მემკვიდრეობა მჭიდროს არის დაკავშირებული ერთმანეთთან. მიუხედავად იმისა, რომ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობით სულ უფრო მეტი ადამიანი თუ ორგანიზაცია ინტერსდება ეს სფერო მოითხოვს კოორდინირებულ მოქმედებას და მეტ ჩართულობას, ამავე დროს საკმაოდ რთულია ტურისტულ პროდუქტში და შეთავაზებაში ასეთი მემკვიდრეობის ჩასმა, რაც ხელშესახები არ არის.

აუცილებელია ტურიზმმა ხელი შეუწყოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წინ წამოწევას და ტურისტულ პროდუქტში ჩართვას, თუმცა ტურ მენეჯერები მაინც რთულად აღიქვამენ ამ საკითხს, რადგან ტურისტული ჯგუფები განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ზოგს ეკლესია-მონასტრები აინტერესებთ, ზოგს მხოლოდ ფოტოების გადაღება პეიზაჟებზე, ზოგს კი უბრალოდ კულტურული ძეგლების ნახვა. ძალიან რთულია არამატერიალური კულტურული ძეგლებით მოაწონო და დააინტერესო ტურისტი, რომელსაც სხვა მისწრაფებები აქვს სხვა ქვეყანაში მოგზაურობისას. პრობლემა ასევე ისიც არის, რომ ამ სფეროში საქართველოს არ ჰყავს პროფესიონალი გიდები, რომლებიც ასწავლიან ან მასტერ-კლასს ჩაუტარებენ დაინტერესებულ ტურისტებს, რაც სწორედ პოპულარიზაციას შეუწყობდა ხელს.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გაპიარების კუთხით მთავარი პერსონები არიან დაინტერესებული მხარეები, სატრანსპორტო კომპანიები, კვების პროდუქტების მწარმოებლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მოსახლეობა და სხვა.

დაინტერესებულმა მხარეებმა უნდა დაასაქმონ ადგილობრივი ოსტატები, დაიქირაონ ადგილობრივი ვაჭრები და შეასწავლონ მათ ტურისტებთანურთიერთობა, რათა გაყიდონ ადგილობრივი რეწვის ნიმუშები. ასევე აუცილებელია გიდები თანამშრომლობდნენ ადგილობრივებთან.

სატრანსპორტო კომპანიები უნდა თანამშრომლობდნენ ტურ

ოპერატორებთან და გიდებთან.

კვების პროდუქტების მწარმოებლები ორიენტირებულნი უნდა იყვნენ, რომ ტურისტებმა დააგემოვნონ ადგილობრივი საკვები და კერძები, რომლებიც ტრადიციული მეთოდით მზადდება. ასევე საინტერესო იქნება საქართველოს დიდი ქალაქების სასტუმროებმა კვების რაციონში შეიტანონ ადგილობრივი წარმოების პროდუქტები, განსაკუთრებით ისინი რომელსაც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი აქვს.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა ხელი უნდა შეუწყონ კონტაქტს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, მხარი დაუჭირონ ტრენინგების ჩატარებას და ა.შ.

ადგილობრივ მოსახლეობას დიდი როლი აკისრია ყოველი კუთხისთვის. ისინი არიან მთავარი ადამიანები, შემხვედრნი და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მიმტანნი და გადამცემნი ტურისტებზე. მათ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ მათ რეგიონში ტურიზმის განვითარებაში. ჩაერთონ და მონაწილეობა მიიღონ რეგიონალურ პროექტებში, რომელიც ხელს შეუწყობს მათ სოფელში თუ რეგიონში ტურიზმის ამაღლებას და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გაპიარებას.

ბოლო პერიოდში რიგმა ქვეყნებმა ტურიზმში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გაუმჯობესების კუთხით ჩაატარა კვლევები, სხვადასხვა შეხვედრები, კონფერენციები და შემუშავებული იქნა რჩევების ნუსხა, თუ როგორ შეგვიძლია ავამაღლოთ მოსახლეობის თვითშეგნება ან ჩართულობა არამატერიალური კულურული მემკვიდრეობის კუთხით. კარგი იქნებოდა, საქართველოსაც მიეღო მსგავს შეხვედრებში მონაწილეობა, გამოეთქვა საკუთარი აზრი და ეს რეკომენდაციები ჩვენს ქვეყანაშიც წარმატებით გამოეყენებინათ.

3.3. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გამოყენების და მისი სრულყოფის გზები ტურიზმში

კულტურული მეკვიდრეობის მართვისთვის აუცილებელია როგორც სახელმწიფოს როგორც ცენტრალური ორგანოს, ასევე რეგიონების მთავრობების ჩართულობა. საქართველოს კულტურის სტრატეგია - „კულტურის სტრატეგია 2025“ (http://www.georgianmuseums.ge/ckfinder/userfiles/files/kulturis-strategia-2025-bolo.pdf, თ. გ.) ეს სტარტეგია სწორედ ამ საკითხზე ამახვილებს ყურადღებას, რომ აუცილებელია თანამონაწილე მხარეების ერთიანი გადაწყვეტილებების მიღება. ,,მნიშვნელოვანია, კულტურის სტრატეგია და რომ მისი სამოქმედო გეგმა უნდა მოიცავდეს საკითხებს, როგორც ადგილობრივ, ასევე რეგიონულ და ცენტრალურ დონეზე“. (http://www.cultureandsports.gov.ge, 2016)

სახელმწიფო სექტორთან ერთად აუცილებლად ჩართული უნდა იყოს კერძო სექტორი, ის ორგანიზაციბი რომლებიც მუშაობენ კულტურულ საკითხბზე და მათ ერთიანად და კოორდინირებულად უნდა იმოქმედონ.

მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კუთხითაც საჭიროა ასეთი ღონისძიებების ჩატარება ცნტრალურ, რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე.

ცენტრალურ დონეზე მთავარი ღონისძიებები შემდეგი უნდა იყოს:

- სამთავრობო დოკუმენტებიდან შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ კულტურული ტურიზმი და მისი განვითარება სახელმწიფოსათვის წამყვანი დარგია. ეს ყველაფერი უნდა იქნას ასახული სახელმწიფო მართვის სქემაშიც.

ცნობისათვის, ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად ბრაზილიაში, თურქეთში, ბულგარეთში მოხდა კულტურისა და ტურიზმის სამინისტროების გაერთიანება, რადგან ის მოითხოვს ამ ორი სამინისტროს კოორდინირებულ მოქმედებას, ერთად მუშაობით კი პრობლემები უფრო მალე მოგვარდება.

მუნიციპალიტეტის დონეზე, დაინტერესებული პირები ჩართულნი უნდა იყვნენ, რომ მათ რეგიონში მოხდეს არამატერიალური კულტურული

მემკვიდრეობის ძეგლების აღრიცხვა და კულტურულ პროცესში ჩართვა, რაც მარტივი საქმე არ არის. მუნიციპალიტეტებში ამ საკითხებზე მომუშავე ადამიანებმა ზედმიწევნით უნდა იცოდნენ მათ რეგიონში და ქალაქში რომელი არამატერიალური კულტურული ძეგლია და მათ უნდა მოახერხონ მათი ჩართვა ტურ პროდუქტში, ტურ ოპერატორებთან ერთად. ასევე მათ კოორდინირებულად უნდა ითანამშრომლონ საზოგადოებასთან, ტურ ოპერატორებთან, სახელმწიფო ორგანოებთან, რათა მოიზიდონ მეტი სახსრები, საკუთარ ტერიტორიაზე მატერიალური და არამატერიალური კულტურული ძეგლების პოტენციალის გამოსავლენად და მათი პოპულარიზაციისთვის.

მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მართვაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო აუცილებლად უნდა უწყობდეს ხელს თემისა გაძლიერებას კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების საქმეში, რადგან სწორედ ეს არის მთავარი ბირთვი, რომლის გარეშეც არ მოხდება ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარება.

კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული პოლიტიკა ყველა რეგიონს, თუ თემს უნდა ავალდებულებდეს საკუთარ კუთხეში მოუარონ და პატივი სცენ მატერიალურ თუ არამატერიალურ ძეგლებს, ამიტომ ეს პასუხისმგებლობა უნდა გაინაწილოს ყველა ორგანომ. აუცილებელია ყველა სამინისტროს, პარლამენტს, მთავრობას შორის საუბრის გამართვა და კოორდინირებული მოქმედება. მაკოორდინირებული როლი კი სახელმწიფოს მთავრობას უნდა დაეკისროს.

საქართველოში ტურიზმის როლი სახლმწიფოს მაინც გააზრებული აქვს და მისი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობაც სათანადოდაა შეფასებული. სამთავრობო დოკუმენტებიდან და ტურიზმის ადმინისტრაციის წარმომადგენლების გამოსვლებიდან ჩანს, რომ საქართველოში კულტურული ტურიზმის განვითარება ჩვენი ხელისუფლებისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს, ამიტომ ეს აუცილებლად უნდა აისახოს სახელმწიფოს მართვის სქემაშიც.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მაგალითად, თურქეთში, აზერბაიჯანში, ბულგარეთში, ინდოეთში და სხვა, მოხდა ტურიზმის სამინისტროსა და კულტურის

სამინისტროს გაერთიანება. ასე უფრო მარტივი იყო ერთ სივრცეში ტურიზმის კუთხით სწორი გადაწყვეტილებების მიღება და მისი სათანადოდ მდგრადი პრინციპების გათვალისწინებით განვითარება.

ამჟამად საქართველოში არის ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, რომელიც თვითონ იღებს გადაწყვეტილებებს ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებით. სასურველი და კარგი იქნებოდა ტურიზმის ადმინისტრაციის ეროვნული სამსახურები კულტურული ტურიზმის განვითარების გეგმებს მხოლოდ მათ უშუალო ხელმძღვანელობასთან კი არ გადიოდნენ, არამედ ანგარიშვალდებულნი იყვნენ პრემიერ-მინისტრის მიმართაც. ასევე, კარგი იქნებოდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროც ვალდებული იყოს პრემიერ-მინისტრის მიმართ, მითუმეტეს რომ მათ ევალებათ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენახვა და პოპულარიზაცია, ტურიზმის საქმიანობაში ხელშეწყობა, მისი ეფექტიანი კოორდინაცია და ა.შ.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის და იმ ორგანოების რომლებიც ტურიზმში აქტიურად მონაწილეობენ მთავარი სამომავლო გეგმა უნდა იყოს:

ა) მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმში და ტურ პროდუქტში ჩართვის ღონისძიებების გატარება

ბ) საქმის შესრულებაზე მონიტორინგი და სწრაფი რეაგირება პრობლემაზე

გ) ამ პროცესის მართვის ქვედა დონეებისადმი დახმარების გაწევა

დ) მეტი ფესტივალის ჩატარება, რომელიც ხელს შეუწყობს ტურისტების მეტ დაინტერესებას, მოსახლეობასაც ექნება მეტი მოტივაცია არ დაივიწყონ წინა თაობების მიერ გადმოცემული მემკვიდრეობა.

ასევე ჩემი აზრით, არ უნდა იყოს მხოლოდ თბილისი კულტურული ღონისძიებების, გამოფენების და კონცერტების ერთადერთი ქალაქი. აუცილებელია რეგიონებში მცხოვრებ ადამიანებს ჰქონდეთ მოტივაცია გააკეთონ რაღაც მეტი, მათ რეგიონში შეიძლება ჩატარდეს ხალხური მუსიკის, ცეკვის და ზეპირსიტყვიერების ფესტივალები, რაც როგორც რეგიონის მოსახლეობის განვითარებას შეუწყობს ხელს, ასევე დააინტერესებს მოგზაურებსაც. მნიშვნელოვანია ასეთი სახის ფესტივალებში ჩაერთოს ადგილობრივი მოსახლეობა, განსაკუთრებით ახალგაზრდები და ჩვენი მომავალი თაობა.

იმისათვის, რომ ადგილობრივმა თვითმმართველობებმა გადაჭრან არსებული პრობლემები კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კუთხით, აუცილებელია შეიქმნას

ერთი ორგანო, რომელიც ყურადღებას არ მოაკლებს ამ ძეგლებს და მუდმივად განვითარების კუთხით იბრძოლებს, ან ამ სფეროში მოღვაწე ორგანოები მეტად ჩაერთოს ამ საქმიანობაში, მოხდეს კადრების გადამზადება და მათი დატრენინგება ამ სფეროში. ყველა თანამშრომელი მოეკიდოს ამ საქმეს პასუხისმგებლობით და რაც მთავარია იმოქმედონ მათ ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ზემოთ აღნიშნული ცვლილებებისთვის და მიზნების მისაღწევად საჭიროა ხარჯების გამოყოფა სახელმწიფოს ბიუჯეტიდან, ასევე რეგიონულმა გამგეობებმაც და მერიებმა უნდა იზრუნონ სხვადასხვა წყაროებიდან თანხების მოზიდვაზე, იქნება ეს ფონდები თუ დონორი ორგანიზაციები.

დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გამოვიტანეთ შემდეგი დასკვნები:

1. საქართველო მდიდარია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებით, რომელიც ხელს უწყობს ეროვნული ტურისტული პროდუქტის შექმნას. ასევე, მნიშვნელოვანია ქართველი ხალხის ცნობილი სტუმართმოყვარეობა, რომელიც დამატებით მოტივაციას აძლევს საქართველოში მოგზაურ ტურისტს მიიღოს მაქსიმალური სიამოვნება ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობით.
2. საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა - ადათ-წესები, სიმღერები, თამაშები და სხვა, ასახულია კერძო და სახელმწიფო არქივებში, მუზეუმებში და სხვ. უნდა მოხდეს მათი აქტიურად ჩართვა ტურისტულ პროდუქტში და მათი მახასიათებლების წარმოჩენა ტურისტის თვალში.
3. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა, როგორც ტურისტული რესურსი გამოირჩევა მდგრადობით. მდგრადობის განმსაზღვრელია პროდუქტზე ,,სეზონურობის არ არსებობა''. საქართველოში არსებული რესურსი - მათ შორის მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, შეგვიძლია გამოვიყენოთ წლის ნებისმიერ დროს.
4. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა არის ქვეყნის ისტორიის, ადათ-წესების, ჩვეულებების, ტრადიციების, ერთა შორის პატივისცემის და დახმარების, ჰუმანური გრძნობების გაღვივების და მეგობრობის გამყარების სიმბოლო.
5. არამატერიალური კულტურული რესურსების განვიარება და მისი ტურ პროდუქტში ჩართვა ხელს უწყობს მეტ დასაქმებას, ასევე მცირდება სოფლიდან ქალაქში გადაადგილება-მიგრაცია, რადგან სოფლის ახალგაზრდა მოქალაქეებს საშუალება ეძლევათ შეინარჩუნონ ტრადიციები, ამავე დროს საკუთარ რეგიონში თუ სოფელში

დასაქმდნენ და მიიღონ შემოსავალი.

6. აუცილებელია საზოგადოების მეტი ჩართულობა და ინტერესი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის განვითარების კუთხით, ასევე დიდი როლი აკისრია სახელწიფოსთან და საზოგადოებასთან ერთად კერძო სექტორს.
7. ტურიზმში არსებული რესურსების არამიზნობრივ გამოყენებას მივყავართ ნეგატიურ ეფექტამდე. არამატერიალურმა კულტურულმა მემკვიდრეობამ უნდა მოახერხოს და უზრუნველყოს ქვეყნის პოპულარიზაცია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში.

ასევე, საქართველოში ვლინდება ბევრი პრობლემა არამატერიალურ კულტურულ მემკვირეობასთან დაკავშირებით, მათ შორის:

- თაობიდან თაობისთვის არამატერიალური კულტურის, მაგალითად მრავალხმიანობის ან ქვევრის დამზადების კულტურის უწყვეტობის მოშლა. თითქოს, ახალგაზრდებსაც აღარ აინტერესებთ წინა თაობების მიერ ნაწავლი ხელოვნება, მშობლები კი გლობალიზაციის და სწრაფი ტემპის გამო აღარ ცდილობენ დააინტერესონ საკუთარი შვილები და გადასცენ წინა თაობების მონაპოვარი;
- სახელმწიფოს დაცვის მექანიზმების არასრულყოფილება არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მიმართ. სახელმწიფო ვალებულია ჩართული იყოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების საქმეში.
- გლობალიზაცია და სამყაროს განვითარების სწრაფი ტემპი;
- მოსახლეობის სოფლიდან ქალაქში მიგრაცია;
- არასაკმარისი რესურსები არამატერიალური კულტურული მმეკვიდრეობის დასაცავად;

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის განვითარების წახალისებისთვის ბიზნესებზე უნდა გაიცეს დაბალ პროცენტიანი

კრედიტები, მხარი დაუჭირონ პროექტებს, განავითარონ ადგილობრივი ბაზარი რეწვის ნიმუშების გამოყენებით, ჩართონ ახალგაზრდობა, რომ მათ სურვილი არ გაუჩნდეთ დატოვონ მათი მშობლიური კუთხე და ადგილი, ტურ ოპერატორებმა უნდა იზრუნონ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შეთავაზებაში ჩასმაზე და გააუმჯობესონ მიწოდების ჯაჭვი, ადგილობრივმა თვითმმართვლობებმა უნდა შექმნან ადგილობრივი დღესასწაულების კალენდარი, რაც ტურ ოპერატორებსაც გაუმარტივებს მიწოდებას დაინტერესებულ პირებთან, სასტუმროებში შეთავაზებული უნდა იქნას ტურისტებისთვის ადგილობრივი პროდუქტი, მათთვის განსაკუთრებით საინტერესო იქნება, თუ ამ შეთავაზებას წარუძღვება გამოცდილი პიროვნება, რომელიც მოუყვება ამ პროდუქტის დამზადების ტექნოლოგიას.

ასევე, მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის როლი რეგიონში, რადგან მათი ორგანიზებით უნდა მოხდეს ბუკლეტების დამზადება სხვადასხვა ენაზე, რომელიც მოუთხრობს დაინტერესებულ პირებს კონკრეტული რეგიონის მატერიალურ და არამატერიალურ კულტურულ ძეგლებზე. მნიშვნელოვანია ასევე ადგილობრივი გიდების გადამზადება, რომლებიც ფლობენ ცოდნას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ.

ტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელია გრძელვადიანი სტრატეგიების შემუშავება. ამაში ჩართული უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირი, მათ შორის კერძო ორგანიზაციებიც.

აღსანიშნავია, რომ ტურისტების მიერ დახარჯული თანხა უნდა მოხმარდეს ისევ თემს და ისევ თემის განვითარებას. იქ მაცხოვრებელი ადამიანები თავს ეკონომიკურად უკეთესად უნდა გრძნობდნენ, ვიდრე ისინი აქამდე იყვნენ, რაც უნდა შეეტყოს მათ სოციალურ ცხოვრებას.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის განვითარების

კუთხით დიდი როლი აკისრია სახელმწიფო სექტორს და კერძო სექტორს. ისინი ყოველ ნაბიჯში უნდა იყვნენ განვითარების პროცესში ჩართულნი, ამიტომ აუცილებელია მათ შორის მუდმივი დიალოგი.

კულტურულ ტურიზმში ჩართვისთვის აუცილებელია ცენტრალური, რეგიონული და მუნიციპალური მთავრობების ჩართვა და მათი მჭიდრო ურთოერთობა.

მუნიციპალიტეტებში, გამგეობებში უნდა შეიქმნას სპეციალური სამსახურები, რომლებიც იმუშავებენ მატერიალურ და არამატერიალურ კულტურულ ძეგლებზე, მის განვითარებასა და სამომავლოდ მეტი ინტერესის მოპოვებაზე. ეს არ არის მარტივი პროცესი და დროს საჭიროებს, მაგრამ ჩვენი ქვეყნისთვის ეს რეკომენდაციები ძალიან მნიშვნელოვანია.

ზემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციების დამუშავება ხელს შეუწყობს როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის განვითარებას და მის ჩართვას ტურისტულ პროდუქტში, არამედ სწორედ არამატერიალური კულტურული მემეკვიდრეობა ჩვენს ქვეყანას დაანახებს მოგზაურებს, როგორც უნიკალური ცივილიზაციისა, წარსულის და კულტურის მატარებელ ქვეყანას.

გამოყენებული ლიტერატურა

კულტურული მემკვიდრეობის დაცველის გზამკვლევი https://bit.ly/2tEP9AI

საერთაშორისო კონვენცია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ - https://matsne.gov.ge/ka/document/view/1205181?publication=0

იუნესკოს ოფიციალური საიტი - https://en.unesco.org/

UNWTO-ს ოფიციალური საიტი - http://www2.unwto.org/

,,ფაროს'' კონვენცია - http://mcs.gov.ge/News/faros-konvencia.aspx ; https://www.coe.int/en/web/culture-and-heritage/faro-convention

კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ - https://matsne.gov.ge/ka/document/view/21076?publication=13

ნიკო კვარაცხელია - კულტურული ტურიზმი: თეორია და პრაქტიკა - https://gnta.ge/ge/publication/%e1%83%99%e1%83%a3%e1%83%9a%e1%83%a2%e1%83%a3%e1%83%a0%e1%83%a3%e1%83%9a%e1%83%98-%e1%83%a2%e1%83%a3%e1%83%a0%e1%83%98%e1%83%96%e1%83%9b%e1%83%98-%e1%83%97%e1%83%94%e1%83%9d%e1%83%a0%e1%83%98/
ტურიზმისა და კურორტების შესახებ- https://matsne.gov.ge/ka/document/view/33370?publication=9
,,Chinatown'' in New York - https://www.nycgo.com/boroughs-neighborhoods/manhattan/chinatown
ფესტივალი ''Souk Okaz'' - http://www.arabnews.com/node/1323071/saudi-arabia
''კაზიუკას ბაზრობა'' ლიტვაში - https://www.way2lithuania.com/en/travel-lithuania/kaziuko-muge
ყველისა და სიდრის ბილიკი - https://www.rutalquesuylasidra.com/
კორეის რესპუბლიკის ფესტივალები - https://english.visitkorea.or.kr/enu/ATR/SI_EN_3_2_2.jsp
აბრეშუმის გზა - https://www.georoyal.ge/?MTID=5&TID=48&id=3615
აბრეშუმის და სანელებლების ფესტივალი უზბეკეთში - https://www.trt.net.tr/georgian/kultura-da-xelovneba/2017/05/30/abreshumis-da-saneleblebis-p-estivali-uzbeket-shi-742292
არგენტინული ტანგო ამერიკაში - htttp://tangousachampionship.com/
იუნესკოს კონვენციები - http://portal.unesco.org/en/ev.php-URL_ID=12025&URL_DO=DO_TOPIC&URL_SECTION=-471.html
ტურიზმის გლობალური ეთიკური კოდექსი - http://cf.cdn.unwto.org/sites/all/files/docpdf/georgia2015.pdf
საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ - https://matsne.gov.ge/ka/document/view/11932?publication=5
სოციალური საწარმო ,,ხვარამზე'' - http://segeorgia.org/FILES/doc/91_SE-Journal-7.pdf

ქობლიანიძე, მელაძე, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი, 2012.
საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალური საიტი - http://mcs.gov.ge/
ICOM Georgia - http://network.icom.museum/icom-georgia
კულტურის სტრატეგია 2025 - http://www.georgianmuseums.ge/ckfinder/userfiles/files/kulturis-strategia-2025-bolo.pdf
საქართველოს არამატერიალური კულტურული ძეგლები - https://heritagesites.ge/uploads/files/5cf0cb6b3126a.pdf
წიგნი: ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი,ა ავტ: ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2010 წ
წიგნი: ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის საფუძვლები, ავტ: მარინა მეტრეველი, 2011 წ
წიგნი: E-business for Tourism – Practical Guidelines for Destinations and Businesses, 2001 წ
წიგნი: UNWTO Asia tourism trends 2018

დანართი

დანართი 1

საქართველოში სულ 48 არამატერიალური ძეგლია. მათ შორის[6]:

1. ქართული მრავალხმიანობა, 17 ნოემბერი, 2011 წ
2. ქვევრი, 17 ნოემბერი, 2011 წ
3. ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი, 27 მარტი, 2012 წ
4. ''დედა ენა'' (ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი), 25 მარტი, 2013 წ
5. ცეკვა ფერხული, 25 მარტი, 2013 წ
6. ბერიკაობა, 25 მარტი, 2013 წ
7. კახური მრავალჟამიერი, 25 მარტი, 2013 წ
8. ქალაქური მრავალჟამიერი, 25 მარტი, 2013 წ
9. საბავშვო ლიტერატურული ჟურნალის ტრადიცია - ჟურნალი ,,დილა'', 25 ნოემბერი,2013 წ
10. ცეკვა 'ხორუმი', 25 ნოემბერი, 2013 წ
11. მესხური ყველის - ტენილის დამზადების ტექნოლოგია, 25 ნოემბერი, 2013 წ
12. თეატრალური უნივერსიტეტის ყოველწლიური სტუდენტად კურთხევის ტრადიცია - ''გრიმი ცხების ცერემონიალი'', 5 იანვარი, 2013 წ
13. ქართული პერიოდიკის უწყვეტი ტრადიცია ლიტერატურული ჟურნალი ''ცისკარი'', 5 იანვარი, 2013 წ
14. ლაღიძის წყლების ტექნოლოგია და კულტურა, 5 იანვარი, 2013 წ
15. ქართული ჭიდაობა, 25 სექტემბერი, 2014 წ
16. უძველესი ფშავური საკვები პროდუქტი - ''დამბალხაჭო'' და მისი დამზადების ტექნოლოგია და კულტურა, 25 სექტემბერი, 2014 წ
17. ქართული ანბანის სამი უძველესი სახეობის ცოცხალი კულტურა, 20

[6] https://heritagesites.ge/uploads/files/5cf0cb6b3126a.pdf

მარტი, 2015 წ

18. სვანური ხალხური საკრავის ჭუნირის დამზადების ტრადიციული მეთოდი, 20 მარტი, 2015 წ
19. სვანური ქუდის დამზადების ტექნოლოგია, 20 მარტი, 2015 წ
20. სვანური სამზარეულო - ფეტვიანი ხაჭაპურის დამზადების ტრადიციული მეთოდი, 20 მარტი, 2015 წ
21. სვანური სამზარეულო - კუბდარის დამზადების ტრადიციული მეთოდი, 20 მარტი, 2015 წ
22. სვანური სამზარეულო - სვანური მარილის დამზადების ტრადიციული მეთოდი, 20 მარტი, 2015 წ
23. სვანური სამზარეულო - თაშმჯაბის დამზადების ტრადიციული მეთოდი, 20 მარტი, 2015 წ
24. ''ვეფხისტყაოსნის'' ზეპირად ცოდნის ტრადიცია, 20 მარტი, 2015 წ
25. ზემო სვანეთში სამკურნალო-მინერალური, მჟავე წყლების: მუგვირი, არცხეელი, კახრლდ, ლეგაბ, სეტის, კვედილაშის და შდეგის მოხმარების წესი, 15 ოქტომბერი, 2015 წ
26. სვანური ხალხური საკრავის ჩანგის დამზადების ტრადიციული მეთოდი, 15 ოქტომბერი, 2015 წ
27. ხეზე კვეთის ტრადიცია - ორნამენტი სვანურ ტრადიციულ საცხოვრისსა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთებში, 15 ოქტომბერი, 2015 წ
28. ქართული პერიოდიკის უწყვეტი ტრადიცია-ლიტერატურული ჟურნალი ''განთიადი'', 15 ოქტომბერი, 2015 წ
29. კახური ჩურჩხელის დამზადების ტექნოლოგია, 7 ნოემბერი, 2015 წ
30. კახური ქუდის დამზადების ტრადიციული მეთოდი, 7 ნოემბერი, 2015 წ
31. კახური შოთის (დედას პური) დამზადების ტექნოლოგია, 7 ნოემბერი, 2015 წ
32. მეთუნეობის უძველესი ტრადიცია ვარდისუბანში, 7 ნოემბერი, 2015 წ

33. ზარით დაკრძალვის სვანური რიტუალი, 16 მარტი, 2016 წ

34. ბაზიერობა (დამჭერი მტაცებელი ფრინველით ანუ ბაზით ნადირობა), 27 ოქტომბერი, 2016 წ

35. ქართული ტრადიციული სუფრა, 29 მარტი, 2017 წ

36. ლურჯი სუფრის დამზადების ტრადიციული ტექნოლოგია და კულტურა, 9 ივნისი, 2017 წ

37. ქართული ხალხური სამედიცინო ცოდნა და მისი გამოყენების ტრადიციები, 23 აგვისტო, 2017 წ

38. ქართულ-ებრაული 26 საუკუნოვანი უნიკალური ურთიერთობის ტრადიცია, 13 აპრილი, 2018 წ

39. ცხავატური მეთუნეობა, 13 აპრილი, 2018 წ

40. ქართული აბრეშუმი, 12 ივნისი, 2018 წ

41. ''ქსნური ულამი'' - უსასყიდლო შრომითი ურთიერთდახმარების ტრადიცია, 10 აგვისტო, 2018 წ

42. ქართული ხალხური ცხენოსნური თამაშობანი ისინდი, ცხენბურთი, ყაბახი, მარულა, 31 აგვისტო, 2018 წ

43. ქართული ხორბლის კულტურა, 7 სექტემბერი, 2018 წ

44. აფხაზური და მეგრული ''აჯიკის'' დამზადების ტექნოლოგია, 21 ნოემბერი, 2018 წ

45. ხაჭაპურის ტრადიცია საქართველოში, 28 იანვარი, 2019 წ

46. ''ქალთა საბჭოს საქმიანობის ტრადიცია საქართველოში'', 12 თებერვალი, 2019 წ

47. ლელობურთი, 6 მარტი, 2019 წ

48. ბორანოს მომზადების წესი და ტრადიცია, 6 მარტი, 2019 წ.

დანართი 2:

დიაგრამა 1



წყარო: კვლევა

დიაგრამა 2



წყარო: კვლევა

დიაგრამა 3



წყარო: კვლევა

დიაგრამა 4



წყარო:

კვლევა



დიაგრამა 5

წყარო:

კვლევა

დიაგრამა 6



წყარო: კვლევა



,,ვეფხისტყაოსანი''

წყარო: www.google.ge

ლურჯი სუფრა

წყარო: www.google.ge

,,ბორანო''

წყარო: www.google.ge

ლაღიძის წყლები

წყარო: www.google.ge

მესხური ყველი ,,ტენილი''

წყარო: www.google.ge

ქვევრი

წყარო: www.google.ge

სვანური ქუდი

წყარო: www.google.ge

ცეკვა ,,ხორუმი''

წყარო: www.google.ge



წყარო: პირადი ნამუშევარი Gis-ში (საქართველოს ტერიტორიაზე არსებული 48 არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის განშლა)

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Mariami – Bojena Tkebuchava

Intangible Cultural Heritage Management Aspects in Tourism (Case of Georgian Folk Traditions)

Human Geography

Thesis submitted to the faculty of the Human Geography in partial fulfillment of the requirements for the degree of master of science

Supervisor: **Nino Pavliashvili**

Associate Professor

Tbilisi 2019